# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 31 აგვისტო 2001 №165 (1438) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნგრეთი ხმაუროზს, საქართველო დუმს

## ყველა ჩვენ როგორ გვემუქრება?!

მხოლოდ გამარჯვება და სამი ქულა, ეს არის ჩვენი მიზანი — ამბობს უნგრეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბერტალან ბიჩკეი.
ცხადია, ჩვენ მოვიგებთ, ანგარიშიც ვიცი, 2:1 — დარწმუნებულია უნგრელთა თავდამსხმელი ფერენც ჰორვატი.
ეს სიტყვები საქართველოს ნაკრების ხვალინდელმა მეტოქეებმა გუშინ „შევარდენზე" ვარჯიშის დასრულების მერე გვითხრეს და იქვე ესეც დააყოლეს: ქართველები დაცვაშიც მოიკოჭლებთ და ჯანლონითაც ვერ დაიკვეხნით, ამიტომაცაა, ბუდაპეშტურ 4:1-ს თბილისურ მოგებასაც რომ დავურთავთო.
„შევარდენზე" რომ უნგრელები ენაწყლიანობდნენ, „დინამოს" დილმის ბაზაზე შეკრებილ ქართველებს პირში წყალი ჩაეგუბებინათ. ლაპარაკს ვინ ჩივის, იქ მისულებს ბაზის კარი ჩარაზული დაგვხვდა, აქაოდა, დახურული ვარჯიშიაო. თუმც, ცინე მაინც გატყდა და სხვებთან ერთად მოედანზე აწ უკვე რეინჯერსელი შოთა არველაძეც ვიხილეთ.
გუშინვე „ეროვნულზე" ბოლო ვარჯიში ჩაატარეს საქართველოს და უნგრეთის ახალგაზრდულმა ნაკრებებმა. ესენი დღეს შეხვდებიან ერთმანეთს და ვინძლო, ვახტანგ კოპალეიშვილის გუნდმა, სატურნირო ცხრილის ფსკერზე უქულოდ რომ დალექილა, ერთიანი მაინც ჩაიწეროს ქულათა გრაფაში.

იხილეთ მეორე, მესამე, მეოთხე გვერდები



საქართველოს ნაკრების ლეგიონი: გიორგი ქინქლაძე (ბურთით), გიორგი ნემსაძე, კახა კალაძე და ალექსანდრე რეხვიაშვილი

# კონტინენტის ჩემპიონატი ომით იწყება

## ევროპა ყურისძირში და ძალიან შორს



იუგოსლაველი დეიან ბოდიროგა (მარცხნივ) და ხორვატი დამირ მულაომეროვიჩი დღეს კიდევ ერთხელ იომებენ

EUROBASKET 2001 TURKEY FIBA

ორიოდ დღეც და ალბათ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები კიდევ ორი წლით გაიხანგრძლივებს ევროიზოლაციას.

ორიოდ საათიც და საკალათბურთო ევროელიტა უმაღლეს დონეზე თამაშს შეუდგება.

საოცარი კი ის გახლავთ, რომ ევროელიტა ევროიზოლაციისთვის განწირულის ყურისძირში შეიკრიბა.

დღეიდან ჩვენი მეზობელი თურქეთის ორ ქალაქში, ანკარასა და ანთალიაში ევროპის 32-ე საკალათბურთო ჩემპიონატი იწყება. ათი დღის თავზე სტამბოლში ახალი საუკუნის პირველი კონტინენტური ტიტულის მფლობელი გამოვლინდება.

კალათბურთის ქართველ ქომაგს კი ძველი დრო მოაგონდება და ნოსტალგია მოეძალება. აუცილებლად გაახსენდება ის დრო, როდესაც ქართველები იოლად უსწორდებოდნენ რუს, უკრაინელ, ლიტველ, ლატვიელ და ესტონელ კალათბურთელებს. გულისხეთქვა მერე ნახეთ, როცა ირკვევა, რომ ეს ხუთივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, დღეს კი დამოუკიდებელი სახელმწიფო ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობს; ქართველებმა კი ევრობასკეტ-2001-ის შანსი ორი წლის წინ გაუშვეს, კვირას კი აზერბაიჯანს ეთამაშებიან და მერე ალბათ ოფიციალურადაც გამოეთხოვებიან უკვე 2003 წლის ევროპის ჩემპიონატს.

ამის მიუხედავად კალათბურთის ნაღდი ქომაგი თურქეთისკენ მაინც გაიხედავს და ათი დღის განმავლობაში იქაურობას თვალს არ მოაშორებს. პოსტსაბჭოურ ხუთეულთან ერთად ევროტიტულისთვის ოთხი პოსტიუგოსლავიური, ან უკვე ბალკანური ნაკრები იბრძოლებს — იუგოსლავია, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია. იქვეა დასავლეთევროპული სათვისტომოც — საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, იტალია. პირობითად სამხრეთევროპელებიც ვახსენოთ — თურქეთი, საბერძნეთი, ისრაელი.

ვის აქვს წარმატების ყველაზე დიდი შანსი? 1999 წლის ჩემპიონ იტალიას? მარადფავორიტ იუგოსლავიას? ოლიმპიური ვერცხლის მფლობელ საფრანგეთს? მუდმივად სიურპრიზების შემომთავაზებელ ლიტვას? ამბიციამოძალებულ და ყველა სფეროში ევროპის მოწინავეთა შორის დამკვიდრების მოსურნე თურქეთს?

მარჩიელობას ალბათ დიდი კალათბურთის ცქერა და სიამოვნების მიღება სჯობს. ჩვენც ასე მოვიქცეთ, მით უმეტეს, საცქერი და სასიამოვნო უკვე დღესვე გველის: ათიოდ წლის წინ შობილი, მაგრამ უკვე მარადიული და უდიდესი დაპირისპირება, იუგოსლავია — ხორვატია.

ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის გათამაშების სტრუქტურა, კალენდარი და უკლებლივ ყველა მონაწილე იხილეთ მეათე-მეთერთმეტე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 31 აგვისტო

# საქართველო — უნგრეთი

თბილისი. ეროვნული. 20.00. ტელედღება 70 900



ვახტანგ კოპალეიშვილი



უნგრელმა ახალგაზრდებმა დღევანდელი მატჩის სარბიელი მოსინჯეს



იმრე დელეი

# კოპალეიშვილმა ხმას აუწია

## გოგიას ახალგაზრდობა გაახსენეს

**გუშინ** „ეროვნულზე“ ქართული და უნგრული ფეხბურთის მომავალი ვიხილეთ: სტუმარ-მასპინძელთა ახალგაზრდულმა ნაკრებებმა მატჩამდე ბოლო ვარჯიში ჩაატარეს.

ჯერ სტუმრებზე ვთქვათ. უნგრელებმა წვრთნა 20 საათზე, ყოველგვარი გახურების გარეშე, ბურთის კენწვლით დაიწყეს. ცოტა ხანში მთავარმა მწვრთნელმა იმრე დელეიმ ფეხბურთელები დააწყვილა და ერთმანეთისთვის სწრაფი პასები დაავალა. აშკარა იყო, უნგრელთა თავკაცს ძირითადი შემადგენლობის თერთმეტი ფეხბურთელი უკვე შეერჩია. სწორედ მათ ადენდა ოფლს იმრე დელეი, დანარჩენ ექვსს კი მეორე მწვრთნელი ავარჯიშებდა. ცალკე დამრიგებელი ჰყავდათ მეკარეებსაც.

დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ სტუმრებმა საკმაოდ მცირე ფართობზე პრესინგი გააჩაღეს. ამასობაში ზემოთ ნახსენები სამარქაფო ექვსეული მეკარეებს ბომბავდა.

ცოტა ხანში დელეიმ ყველა ფეხბურთელი მოედნის ცენტრში შეკრიბა, ორად გაყო და საკმაოდ უცნაური ორკარა ათამაშა. უცნაურობა ის იყო, რომ ერთი გუნდი უმეკაროდ თამაშობდა და მეტოქეს მათ პირით ხაზთან ბურთის მიტანა ეთვლებოდა გოლად. რამდენ გასაკვირიც უნდა იყოს, უმეკაროდ მობურთალნი დიდ უპირატესობას ფლობდნენ და მეტოქეს საკუთარ ნახევარზე საერთოდ არ აჭაჭანებდნენ.

უნგრელები ფიზიკურად საკმაოდ კარგად არიან მომზადებულნი. ტემპი ფაქტობრივად არ დაუგდიათ, თუმც მთავარი მწვრთნელი საკმაოზე ხშირად აჩერებდა თამაშს და ფეხბურთელებს მითითებებს აძლევდა. ძალიან დიდი დრო დაეთმო სტანდარტული მდგომარეობების დამუშავებას. თამაშისას იყო ისეთი მომენტიც, როდესაც დელეიმ ზედიზედ შვიდჯერ დაარტყმევინა ერთ-ერთ ფეხბურთელს საჯარიმო.

აშკარაა, დელეი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტანდარტულ სიტუაციებს და უნდა ითქვას, რომ უნგრელები ამ კომპონენტში მეტად სახიფათონი არიან.

ვარჯიშის ბოლოს უნგრელთა თავკაცმა ოთხი ფეხბურთელი მიიხმო და პენალტები არტყმევინა, დანარჩენებმა კი მოედნის ცენტრში მოიყარეს თავი და კიდევ ერთხელ გაავარჯიშეს სახსრები.

მოედნიდან გასვლამდე იმრე დელეი ცოტა ხანს გაესაუბრა ფეხბურთელებს და სტუმრებმა წყნარად დატოვეს „ეროვნული“.

უნგრელებამდე კი „ეროვნულის“ ბალახი ქართველმა ახალგაზრდებმა გათელეს. ჩვენებურებმა ვარჯიში მოთელვით დაიწყეს, ამას ბურთის სწრაფად ტარება და დაბალი პასები შეუნაცვლეს. ამასობაში მეკარეებს მირზა მერლანსა და ზურაბ მამალაძეს დავით გოგია ავარჯიშებდა.

ფეხბურთელები უხმოდ ასრულებდნენ ვახტანგ კოპალეიშვილის მითითებებს. თამაშისწინა ვარჯიში ჩვეულებისამებრ მსუბუქი, თუმც ინტენსიური გამოდგა. ცოტა ხანში კოპალეიშვილმა ფეხბურთელები სამ-სამად დაყო და ასეთი რამ დაავალა — თითოეულ მათგანს ბურთი თავით კენწვლით უნდა მიეტანა პარტნიორამდე, რომელიც იგივეს იმეორებდა.

დაახლოებით 30 წუთის შემდეგ კოპალეიშვილმა შეგირდები გვერდით ხაზზე გაამწკრივა და მოედნის სიგანეზე დიაგონალური პასებში გამოსცადა.

ამის შემდეგ ფეხბურთელები კომბინაციების დამუშავებას შეუდგნენ, ოთხოთხად დანაწილებულნი უტევდნენ მერლანისა და მამალაძის კარს, რაც ბოლოს კარში დარტყმებით თავდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ მეკარეები აშკარად სჯობდნენ შემტევებს. მერლანმა და მამალაძემ კარში დარტყმული თითქმის ყველა ბურთი მოიგერიეს. კარს აცილებულ ბურთებს კი იქვე მდგომმა დავით გოგიამ რამდენჯერმე ლამაზი ნახტომიც შეაგება.

ამდენი უშედეგო დარტყმის შემხედვარე კოპალეიშვილმა თანდათან ხმას აუწია. მთავარი მწვრთნელი აშკარად ჩააფიქრა შეგირდების უზუსტობამ.

ცოტა ხანში ფეხბურთელებმა საჯარიმოს წინა ხაზთან გაამწკრივეს ბურთები და კარში ბლომად ურტყეს. თანაგუნდელთაგან აშკარად გამოირჩეოდნენ სკონტოელი ლევან კორღალიძე და ტორპედოელი მალხაზ ასათიანი.

მერე იყო ორკარა. ვახტანგ კოპალეიშვილმაც შეგირდებთან ერთად იბურთავა და ფეხბურთელებს შეძლებისდაგვარად ამხნევებდა.

თამაშის შემდეგ ახალგაზრდა შინდისფრებმა საჯარიმოში ჩაწოდებებზეც წაივარჯიშეს. ბოლოს კი მოედანს ფეხშიშველებმა შემოურბინეს და ვარჯიშიც ამით დამთავრდა.

ეს იყო და, კოპალეიშვილმა ბიჭები სასტუმრო „მონოპოლის“ გზას გაუყენა.

დღევანდელი მატჩის ძირითად შემადგენლობას მწვრთნელი თამაშის წინ გამოაცხადებს. საბედნიეროდ, ტრავმის გამო ნაკრებს არავინ დაჰკლებია.

ასე რომ, დღეს უმოტივაციო ახალგაზრდა ქართველები უნგრელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან.

შეგახსენებთ, ჩვენებმა ბუდაპეშტური მატჩი 1:2 წააგეს.

**ქახა ზალამბერიძე**

**ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტოები**



მირზა მერლანმა ლადო კაკაშვილს არ გაატანინა



ვალერი გაგუამ „მეტოქე“ დაინდო



ლევან კორღალიძე

ნოდარ ახალკაცის სახელობის საფეხბურთო სკოლა „ირაო“ აცხადებს 1992, 93, 94, 95 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას

მისამართი: ვაკე, ჭავჭავაძის 37

**ინგლისი**

მეორე დივიზიონი
V ტური
ქუინზ პარკი 0:0 ბრისტოლი

**ფინეთი**

გადადებული მატჩი
როვანიემი 0:1 ჰაკა

**შვეიცარია**

B ჯგუფი. XI ტური
ბადენი 5:0 ვადუცი

**პოლონეთი**

ლიგის თასი
1/8 ფინალი. I მატჩი
პოლონია 2:2 ოდრა

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 1 სექტემბერი

# საქართველო — უნგრეთი

თბილისი. ლოკომოტივი. 21.00. ტევადობა 25 600

უნგრეთი: მატჩამდე ერთი დღით ადრე

# მოგიგებთ!

## თავდაჯერებულმა უნგრელებმა ანგარიშიც იციან — 2:1

**ზუსტად** შვიდ საათზე გაიყვანა სავარჯიშოდ „შევარდენზე“ ბერტალან ბიჩკეიმ უნგრეთის ეროვნული გუნდი. სტუმართა თავკაცს მოედნის მდგომარეობა სავსებით აკმაყოფილებდა. უნგრელებს დრო არ დაუკარგავთ, მწვრთნელის ერთ უსიტყვო ნიშანზე საქმეს შეუდგნენ.

არც ერთი სიტყვა, არც ერთი ზედმეტი ჟესტი, მხოლოდ ბიჩკეის ხმა და ბურთის ზაგაბუგი ისმოდა. სტუმრებს ეტყობოდათ, რომ დისციპლინა გუნდში მაღალ დონეზეა.

მოთელვის შემდეგ უნგრელებმა ბურთებით განაგრძეს ვარჯიში. მეკარეები ცალკე თავიანთთვის ხურდებოდნენ, დანარჩენი ცხრამეტი ფეხბურთელი კი მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში იყო.

ერთი კომბინაცია აუხსნა ბიჩკეიმ მოთამაშეებს და მთელი ნახევარი საათი იმას ამუშავებდნენ. ნახევარმცველი მოედნის ცენტრიდან ხან მარჯვნივ, ხანაც მარცხნივ გარემარბს აწვდიდა ბურთს, ბურთის მიღებისთანავე გარემარბი შეტევის მიმართულებას ცვლიდა და თვითონ საჯარიმოში შეჭრილი იქ ელოდა თანაგუნდელის გადაცემას. საბოლოო დარტყმაც მასზე იყო. ამ დროს საჯარიმოში ცენტრიდან შეჭრილი ორი აყლაყუდა თითქოს უფუნქციოდ რჩებოდა, მაგრამ ხომ ცხადია, ისინი ალბათ მცველების დაბნევას შეეცდებიან.

ყურადღება მეკარეებისკენ გადავიტანეთ. ფაქტია, სამთაგან გამორჩეული ბერლინის „ჰერტას“ კარის დარაჯი გაბორ კირალი იყო. ვერ გეტყვით, სხვა დროს როგორ იქცევა ვარჯიშებზე უნგრეთის ეროვნული გუნდის ძირითადი გოლკიპერი, მაგრამ გუშინ მაინცდამაინც იშტაზე ვერ იყო. კირალი მკვეთრ მოძრაობებს ერიდებოდა და საათნახევრის მანძილზე თითქმის არ გადამხტარა.

მერე მეკარეების გამოცდის დროც დადგა. მართალია, უნგრელები საჯარიმოს წინა ხაზიდან ბომბავდნენ კარს, მაგრამ მხოლოდ ფლანგური ჩაწოდების შემდეგ ისწორებდნენ ბურთს დასარტყმელად.

ბოლოს ორკარა გააჩაღეს სტუმრებმა. ორი ათ-ათ წუთიანი ტაიმი ითამაშეს მთელ მოედანზე. თამაშობდნენ უნგრელები, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბიჭები არიან, არაფრით გამორჩეულები, მაგრამ თითქმის სამი თვის წინ ამ ჩვეულებრივი ბიჭებით დაკომპლექტებულმა გუნდმა საქართველოს ნაკრებს 4:1 მოუგო.

წვრთნის დასრულებას აღარაფერი აკლდა, როცა მოედნის კიდესთან მდგარ ოთხ ქართველ ჟურნალისტს უნგრეთის ნაკრების ფორმაში გამოწყობილი კაცი მოგვადგა, სტუმართა გუნდის პრესატაშედ გაგვეცნო და თავაზიანად გვკითხა, ვისთან გსურთ გასაუბრებაო. ბიჩკეის თავკაცობით სამ-ოთხი მოთამაშე კიდევ ჩამოვთვალეთ, მაგრამ მხოლოდ ორთან გაგიჩარხავთ საქმესო. მწვრთნელი და თავდასხმელი ჰორვატი ავირჩიეთ და კეთილი პრესატაშის გულისხმიერებით გაოცებულებმა თავები დავიარხეინეთ. თურმე კეთილ კაცთან კი არა, მატყუარასთან გვქონია საქმე.

ვარჯიში დასრულდა... ბიჩკეიმ კარში სათადარიგო მეკარე ჩააყენა და მოთამაშეებს პენალტების დარტყმა უბრძანა. ბურთი თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ყველა? ... ატილა კორსოშმა გაასწორა. ექ...ჯერ დაარტყა უნგრელმა და ყველა უნაკლოდ. ხუთჯერ მეკარისგან მარჯვენა კუთხეში გაიტანა, ერთხელაც მარცხნივ.

ამ დროს გაბორ კირალი მოედნის კიდესთან, ბურთზე იჯდა და ცალყბად იცინოდა. ვერ დავიჩემებ, უნგრელთა მეკარეს ტრავმა აწუხებს-მეთქი, მაგრამ მთლად ჯანზეც ვერ უნდა იყოს. კირალის გუნდის ექიმი მიუახლოვდა, ჯერ ორივე მუხლი შეუმოწმა საგულდაგულოდ, თავი გააქნია, მერე მეკარეს თავზე დაადგა და მხრებზე მასაჟის კეთება დაუწყო. თან გაუჩერებლად რაღაცას ეჩურჩულებოდა. მეკარეც თანხმობის ნიშნად განუწყვეტლივ თავს აქნევდა.

...უნგრელები მოედნის გასასვლელისკენ გაეშურნენ, ჩვენ კი მათ პრესატაშეს დავუწყეთ ძებნა, მაგრამ მიწამ უყო პირი თუ ცამ ჩაყლაპა, ვერსად მივაკვლიეთ. გადავწყვიტეთ, თავად გვეცადა ბედი და წასასვლელად გამზადებულ ***ბერტალან ბიჩკეის*** მივადექით. თავაზიანად, მორჩილად გაგვიჩერდა უნგრელთა თავკაცი.


ბერტალან ბიჩკეი


ფერენც ჰორვატი

— ბუდაპეშტში ძალიან კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. მე ვიცი, რომ ბევრი ითქვა პენალტზე. ჟურნალისტებიც სულ იმ პენალტზე მეკითხებიან. შემიძლია, თამამად გითხრათ, რომ მსაჯმა სავსებით სწორი გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს ნაკრები ამის შემდეგ მოიშალა. ეს ალბათ ფსიქოლოგიური მოუმზადებლობის ბრალია. მაგრამ თქვენც გქონდათ მომენტები. საერთოდ, შეხვედრა ორმხრივ შეტევებში გაილია. უბრალოდ, ჩემმა შეგირდებმა ყველა მითითიება ზუსტად შეასრულეს და თან გასატანიც გაიტანეს. საქართველოს ნაკრები ფიზიკურადაც ცუდად არის მომზადებული, დაცვაც არ გივარგათ. ძალიან ბევრი ხარვეზი გაქვთ უკანა ხაზში.

**— საქართველოს ნაკრების რომელი ფეხბურთელისგან ელით საფრთხეს?**

— ვერ გეტყვით, რომ რომელიმე კონკრეტული ფეხბურთელის მეშინოდეს ან ვუფრთხოდე. თქვენ გყავთ მაღალი დონის შემსრულებლები, იგივე კალაძე, არველაძე... განსაკუთრებით ფრაიბურგელ ქართველებს გამოვარჩევ. მათი თამაში არაერთხელ ვნახე და ძალიან მომეწონა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე ფეხბურთელს განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ.

**— ხვალინდელ მატჩზე რას ფიქრობთ?**

— ეს უკვე სულ სხვა თამაში იქნება. ვიცი, თქვენს გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, გამოჩნდნენ ახალი ფეხბურთელებიც. მე ვნახე თქვენი ბოლო მატჩი ლუქსემბურგთან და შესაბამისი დასკვნებიც გამოვიტანე. მომეწონა დემეტრაძე, ძალიან, სახიფათოა საჯარიმოში. მთლიანობაში ურიგო გუნდი არ გყავთ, ეგ არის, თამაშის ორგანიზებაში მოიკოჭლებთ. ვფიქრობ, დაძაბული შეხვედრა იქნება, თანაც შინ თამაშობთ და რევანში გსურთ. ჩვენ თამაშს შეტევაზე ავაგებთ.

**— შანსებს როგორ აფასებთ?**

— შანსები ორივე გუნდს თანაბარი აქვს. საქართველოს ნაკრები აგრესიული გუნდია, თუ თავისი თამაში იპოვა, მერე მისი შეჩერება ძალიან ძნელია. ვფიქრობ, ორივე გუნდს აქვს გამარჯვების შანსი.

**— თქვენ რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ?**

— უპირობო გამარჯვება. სხვა შედეგის გაგონებაც არ მსურს, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად ვთამაშობთ. ჩვენ ჰაერივით გვჭირდება სამი ქულა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი რომ შევინარჩუნოთ. ჩემი აზრით, ეს სავსებით რეალურია.

**— როგორი ტაქტიკით ითამაშებს ხვალ უნგრეთის ნაკრები?**

— იგივე ტაქტიკით, როგორც ბუდაპეშტში. მე არ მჩვევია ტაქტიკის ხშირი ცვლა.

საუბრის გაგრძელებას ვაპირებდი, როდესაც ბერტალან ბიჩკეიმ თავაზიანად მიმანიშნა, მეჩქარებაო და ავტობუსს მიაშურა. სამაგიეროდ, ცოტა ხანს შეყოვნდა თელ ავივის „მაკაბისა“ და უნგრეთის ნაკრების ფორვარდი **ფერენც ჰორვატი**. 28 წლის თავდამსხმელი საკმაოდ ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა.

**— პირველ მატჩში იოლად დაგამარცხეთ. ასეთ უსუსურ თამაშს თქვენი ნაკრებისგან ნამდვილად არ ველოდი. ყველაზე სუსტი რგოლი დაცვა გყავთ. ბუდაპეშტში მაგრად დაგაწიოკეთ, თანაც მალე დაიღალნენ თქვენი ფეხბურთელები. განსაკუთრებით მეორე ტაიმში გაჯობეთ.**

**— თბილისში მოსაგებად ჩამოხვედით?**

— სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ანგარიშსაც გეტყვით — 2:1 ჩვენს სასარგებლოდ.

**— გოლის გატანას თბილისშიც აპირებთ?**

— აუცილებლად. მწვრთნელი ბევრს გველაპარაკა საქართველოს ნაკრების დაცვის ხარვეზებზე. ყველაფერი დეტალურად განვიხილეთ. ჩვენ აუცილებლად ორი თავდამსხმელით ვითამაშებთ. ერთი მე ვიქნები და გოლის გატანაზეც ვიზრუნებ. ჩინებული ფეხბურთელები არიან „ფრაიბურგელი“ იაშვილი და კობიაშვილი. ისრაელშიც თამაშობს რამდენიმე ქართველი. სამწუხაროდ, მათი გვარები არ მახსოვს.

ფერენც ჰორვატს წასასვლელად გამზადებული ავტობუსიდან დაუძახეს, მანაც იქითკენ მიაშურა.

უნგრეთის ნაკრები ავტობუსში მოთავსდა. თვალებით მივაცილებდით სასტუმრო „შერატონისკენ“ მიმავალ უცხოელ სტუმრებს და უცბად ის მატყუარა პრესატაშე შევნიშნეთ, ავტობუსიდან გადმოგვცქეროდა მომღიმარი სახით. რა თქმა უნდა, ყველა ერთ ქვაბში არ იხარშება, ყველას ჰყავს თავისი ავიც და კარგიც და არც სხვა უნგრელებზე დაგვცდება ძვირი. „შევარდენზე“ მყოფ სტუმარ ჟურნალისტებთან თუ სხვა წარმომადგენლებთან ჩინებული ურთიერთობაც ჩამოგვიყალიბდა. ზოგი მათ გვკითხეს, ზოგიც ჩვენ და დავშორდით ერთმანეთს კეთილად.


საქართველო — უნგრეთის მატჩისთვის მოსამზადებლად ოფლი მთავარმა მსაჯმა, სლოვენიელმა დრაგო კოშმა (მარცხნივ) და მისმა თანაშემწეებმაც ღვარეს

### უნგრეთის ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა:

კირალი, დ. კორსოში, შებოკი, მატიუში, დარდაი, ლისტეში, ილეში, ა. კორსოში, ჰალმაი, ჰორვატი, ტოკოლი

**გამუკა ძვანტალიანი**
**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო: მატჩამდე ერთი დღით ადრე

# თავბურთი ფეხბურთამდე

## ქეცბაიამ მხოლოდ თვალი ავარჯიშა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ალექსანდრე ჩივაძე

**მას შემდეგ,** რაც საქართველოს ეროვნული გუნდი უნგრეთ-ლიტვის მატჩებისთვის შეიკრიბა, ალექსანდრე ჩივაძემ შეგირდები მესამედ ავარჯიშა.

დიღმის ბაზაზე გამკაცრებული რეჟიმია, ჟურნალისტებს მცირე პრობლემებიც შეგვექმნა ვარჯიშზე შესაღწევად.

ნაკრებმა საღამოს შვიდის ნახევარზე დაიწყო ვარჯიში, რასაც დაახლოებით ორი საათი მოანდომა. მესამე ჯერზე ჩივაძემ ერთი სიახლე შემოიტანა — შეგირდებს ორკარა თავბურთი ათამაშა.

კარგად გვენიშნა, რომ ნაკრების ყველა ფეხბურთელი ნორმალურად გამოიყურება. პირველ ორ ვარჯიშთან შედარებით გაცილებით მხნედ ჩანდა გიორგი ქინქლაძე.

თემურ ქეცბაია წვრთნას მხოლოდ თვალს ადევნებდა — გამორიცხულია, რომ ფეხმტკივანმა ვულვერჰემპტონელმა უნგრეთ-ლიტვასთან შეძლოს თამაში.

და კიდევ. ალექსანდრე ჩივაძე პირველივე ვარჯიშზე ხმამაღალი შეძახილებით აძლევდა შენიშვნას იმას, ვინც წვრთნის დროს ბევრს ლაპარაკობდა. ბატონი საშას მეთოდების გარჩევა ალბათ არავისი საქმე არ არის, მაგრამ ისიც კია, რომ გუნდის დამრიგებელს ერთი და იმავე ფეხბურთელისთვის რამდენჯერმე არ უნდა სჭირდებოდეს დაცაცხანება.

რაც შეეხება შოტლანდიიდან დაბრუნებულ შოთა არველაძეს, მან „გლაზგო რეინჯერსთან" ახალგაფორმებულ კონტრაქტზე საუბარი არ ისურვა.

**დავით თავართქილაძე**
**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



თემურ ქეცბაიას მუხლმა უმუხთლა



გიორგი დემეტრაძე (№8) ენთუზიაზმით გამოირჩევა



ნაკრებს შემორიგებული გოჩა ჯამარაული (მარცხნივ) და კახა კალაძე



აიაქსი — სელტიკი 1:3. „სელტიკთან" ნამტრობი შოთა არველაძე „რეინჯერსს" დაუმეგობრდა

# მე სელტიკის კარიც ამიღია...

## შოთას პროტესტმა პროტესტანტები აზეირა

„რეინჯერსთან" კონტრაქტის გაფორმება ჩემი ბოლოდროინდელი პრობლემების იდეალური გადაწყვეტაა. „აიაქსში" ოთხი დიდებული წელი გავატარე და ამ გუნდისთვის ყოველ კვირა ოფლს ვღვრიდი, მაგრამ ჩემი მომავლის სხვისი კარნახით დაგეგმვა ნამდვილად არ მსურდა. თანაც, როცა ამას წინათ „სელტიკს" შევხვდი, დავრწმუნდი, რომ შოტლანდიური ფეხბურთი საუცხოო დონისაა. მეც ეს მინდა — უმაღლეს დონეზე თამაში" — განუცხადა შოთა არველაძემ გლაზგოურ „დეილი რეკორდს" გუშინწინ და სამშობლოში გამოემგზავრა. მის არყოფნაში „რეინჯერსი" ქართველი ახალწვეულისთვის ბრიტანეთში შრომის უფლების მოპოვებას შეეცდება, რაც, წესით, არ უნდა გაუჭირდეს, ვინაიდან 28 წლის თავდამსხმელი საქართველოს ეროვნულ გუნდში რეგულარულად თამაშობს.

მაშ ასე, შოთას პროტესტმა გაჭრა და „აიაქსმაც", რომელმაც თავის საუკეთესო ბომბარდირთან ახალი კონტრაქტის გაფორმება შორს დაიჭირა, მომავალ წელს უფულოდ დარჩენას ქართველის პროტესტანტებთან გაშვება და ამით 3 მილიონი გირვანქის მიღება არჩია. „დიახ, არველაძის შენარჩუნება ნამდვილად გვსურდა, მაგრამ გაისად წელს მისი კონტრაქტი ამოიწურებოდა და ბოსმანის წესით ვერც ვერაფერს მივიღებდით. ამიტომაც ახლა გაყიდვა გვიჯობდა" — განაცხადა ამსტერდამული კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა ლეო ბეენჰაკერმა. ასევე გულდაწყვეტილია „აიაქსის" მწვრთნელი კო ადრიანსე. საინტერესოა, რომ შოთასა და „აიაქსის" კონფლიქტში ქართველის მხარე სრულიად მოულოდნელად ჰოლანდიელმა ევროპარლამენტარმა ტონი მანდერსმაც დაიჭირა. ცნობილმა პოლიტიკოსმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამსტერდამული კლუბი არველაძეს არასწორად მოექცა.

ასეა თუ ისე, პრობლემა მოგვარდა და ეს „რეინჯერსის" დამსახურებაცაა. სქოთური პრემიერლიგის ვიცე-ჩემპიონთა თავკაცობა მიღწეული გარიგებით ფრიად გახარებულია. კლუბის თავმჯდომარე დევიდ მიურეი ამბობს: „ახალი შენაძენით ფრიად კმაყოფილი ვართ. არველაძე საუცხოო ფეხბურთელია და ამაზე მისი გოლების რაოდენობაც კარგად მეტყველებს. ის ნამდვილად სჯობს „ვესტ ჰემში" გადასულ დონ ჰაჩისონს".

შოტლანდიურმა პრესამ გუშინ დიდი ადგილი დაუთმო „რეინჯერსის" ახალწვეულს. გაზეთმა „სკოტსმენმა" არ დაიზარა და მკითხველს ისიც კი აცნობა, რომ საქართველოს, თურქეთისა და ჰოლანდიის ჩემპიონატების 297 მატჩში შოთას 216 გოლი აქვს გატანილი. ამას გარდა, იგივე გაზეთი იხსენებს, რომ არველაძეს 18 თვე რონალდ დე ბურის მხარდამხარ უთამაშია, ამ ორს მშვენიერი ურთიერთობა აქვს და შესაბამისად, ქართველს ახალ გუნდთან შეგუება არ გაუჭირდება. შოთა ასევე კარგად იცნობს (და პირიქით) „რეინჯერსის" მწვრთნელის დიკ ადვოკაატის თანაშემწეს იან ვოუტერსს, რომელიც „აიაქსში" ჯერ მორტენ ოლსენის მარჯვენა ხელი იყო, ერთი სეზონი კი თავად ედგა გუნდს სათავეში, აღსანიშნავია, რომ მცირეხნიანი შესვენების შემდეგ კლაუდიო კანიჯა ისევ ქართველის მხარდამხარ ითამაშებს — არგენტინელმა ვეტერანმა ხომ მთელი წინა სეზონი ნემსაძისა და ხიზანიშვილის „დანდიში" გაატარა.

არველაძის „რეინჯერსში" მისვლით ინგლისურმა „მიდლსბრომაც" იზეირა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ გუნდს უკვე დიდი ხანია ალან ჯონსტონის ყიდვა სწადია, მაგრამ წინა თვეში თავად ფეხბურთელმა იუარა ინგლისში გადასვლა. ახლა, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ჯონსტონს სხვა გამოსავალი არა აქვს, ვინაიდან შოთას გლაზგოში გადასვლით მისი გამოჩენა „აიბროქსზე" თითქმის მთლიანად გამოირიცხა, გუშინ ჯონსტონი მიდლსბრიში ჩავიდა.

და კიდევ: „სელტიკთან" „აიაქსისთვის" უიღბლო შეხვედრაში, როგორც გახსოვთ, მასპინძელთა ერთადერთი გოლი სწორედ შოთა არველაძემ შეაგდო.. ხოლო ვინც „სელტიკის" მტერი.. ის „რეინჯერსელია". ასეც მოხდა.

**გიგა კობახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყო და არა იყო რა...
## ამბავი ქართველთა და უნგრელთა

### უნგრეთის ეროვნული გუნდი თბილისში

**18.05.1977 მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 75 000 მაყურებელი

**სსრ კავშირი 2:0 უნგრეთი**

1:0 ბურიაკი (3), 2:0 ბალინტი (14ს.კ.)
სსრ კავშირი: დეგტიარიოვი, კონკოვი, მატვიენკო, ხინჩაგაშვილი, ა. ნოვიკოვი, ტროშკინი, მაქსიმენკოვი (მინაევი 46), ონიშჩენკო, ბურიაკი, ყიფიანი, ბლოხინი
მწვრთნელი: ნიკიტა სიმონიანი
უნგრეთი: გუიდარი, მარტოში, ბალინტი, ი. ტოტი, ზომბორი (ფაზეკაში 77), კერეკი, პუსტაი (ტიოროკი 46), ნილაში, კოვაჩი, პინტერი, ვარადი
მწვრთნელი: ლაიოშ ბაროტი
გაფრთხილება: ბურიაკი, ტოტი
მსაჯი: დ. ტეილორი (ინგლისი)

**19.05.1979 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 75 000 მაყურებელი

**სსრ კავშირი 2:2 უნგრეთი**

1:0 ჩესნოკოვი (23), 1:1 ტატარი (33), 1:2 პუსტაი (63), 2:2 შენგელია (75)
სსრ კავშირი: გონტარი, ბერეჟნოი, ბუჯემი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, დარასელია, მ. მაჩაიძე, ძორიძე (ხიფიანი 70), ჩესნოკოვი (ჟუპიკოვი 87), შენგელია, ბლოხინი
მწვრთნელი: ნიკიტა სიმონიანი
უნგრეთი: ზ. ტოტი, ტიოროკი (მარტოში 23), კოჩიში, ი. ტოტი, კოვაჩი (რაბი 55), ბალინტი, პუსტაი, ნილაში, ტიოროჩიკი, ტატარი, მადიარი
მწვრთნელი: ფერენც კოვაჩი
გაფრთხილება: ტიოროკი, ბუბნოვი
გაძევება: ბუბნოვი
მსაჯი: ბ. მაკგინლი (შოტლანდია)

**სამი თვე** გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრები ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ შერცხვა. მაშინ უნგრელებს განსაკუთრებული არაფერი უჩვენებიათ. როგორც იციან ისე, ცოტა ტექნიკურად, ცოტა ხისტად და არცთუ სწრაფად თამაშობდნენ, მაგრამ ეს საკმარისი გამოდგა ქართველთა კარში ოთხი გოლის გასატანად. საკმარისი გამოდგა, რადგან მოწინააღმდეგე მხოლოდ პირველ წუთებში თუ ჰგავდა გუნდს. მერე აირდაირივნენ და „შინდისფერთა“ სამარცხვინო ნუსხას კიდევ ერთი „შედევრი“ მიუმატეს. 0:4-ზე გატანილი კობიაშვილის ის გოლიც ოდესმე მხოლოდ სტატისტიკის მოყვარულებს თუ გაახსენდებათ.

ამ სამ თვეში რალაც-რალაცეები შეიცვალა. ყიფიანის და ძოძუაშვილის ადგილი ჩივაძემ დაიკავა. ნაკრებს შერისხულები დაუბრუნდნენ და ხვალის მატჩისთვის თითქოს განწყობაც კარგი აქვთ. ვნახოთ, რა მოხდება. ეგებ ვაკის ახალი სტადიონი ეროვნულ გუნდს კეთილად დაებედოს.

ჩვენი ფეხბურთელების დღევანდელი თაობა ახლა ქმნის თავის წილ ისტორიას და კარგი იქნება, თუ უნგრეთის ხსენებაზე მხოლოდ სირცხვილი არ გაახსენდებათ. ხომ წააგეს პოლონეთთან კატოვიცეში 1:4 და მერე თბილისში 3:0 მოუგეს? ასე რომ, შეუძლებელი არაფერია. მით უმეტეს, კორეა-იაპონიაში მოხვედრის მცირე თეორიული შანსი კიდევ არსებობს.

უნგრეთის ნაკრები კი თბილისში მესამედ ითამაშებს. მანამდე მადიარები 1977 და 1979 წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრებს ესტუმრნენ საქართველოს დედაქალაქში.

თუმცა, სანამ ამ ამბებს გავიხსენებთ, ისიც ვთქვათ, რომ პირველი ქართველი ფეხბურთელი, ვინც სანაკრებო დონეზე უნგრელებს შეხვედრია, თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტანი ავთანდილ ღოღობერიძე გახლდათ. 1954 წლის 26 სექტემბერს მოსკოვში საბჭოელებმა უნგრეთის „დიდ გუნდთან“ ამხანაგურად 1:1 ითამაშეს. იქით ბოჟიკი, კოჩიში, ჰიდეგკუტი და პუშკაში. აქეთ იაშინი, ნეტო, ილინი და ღოღობერიძე...

ამ მხრივ ჩვენთვის კიდევ სამი მატჩია გამორჩეული

პირველი: 1958 წლის 28 სექტემბერს მოსკოვის „ლუჟნიკიზე“ ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში პირველი შეხვედრა ჩატარდა. საბჭოელებმა უნგრელებს 3:1 მოუგეს და მასპინძელთაგან ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო სლავა მეტრეველი გახლდათ.

მეორე: 1968 წლის 11 მაისს მოსკოვში, ევროპის ჩემპიონატის საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში, წითლებმა 3:0 დაამარცხეს მესეი, ალბერტი და მათი თანაგუნდელები. ერთი გოლი მურთაზ ხურცილავამ გაიტანა. ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ეს ხურცილავას საუკეთესო თამაში იყო ნაკრებში.

მესამე: 1972 წლის 14 ივნისს, ბრიუსელში, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, უნგრელებმა 0:1 წააგეს საბჭოელებთან, რომელთა შორის სამი ქართველიც იყო: რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა და გივი ნოდია.

ახლა კი თბილისურ შეხვედრებს დავუბრუნდეთ. პირველი 1977 წლის 18 მაისს გაიმართა გადაჭედილ „დინამოს“ სტადიონზე და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გახლდათ. ქართველთაგან შოთა ხინჩაგაშვილი და დავით ყიფიანი თამაშობდნენ. სწორედ ყიფიანის დიდი დამსახურება იყო საბჭოელებმა 2:0 რომ მოიგეს.

ორივე გოლი ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. ჯერ ყიფიანმა კონკოვისგან მიღებული ბურთი მყის დაიმორჩილა და მარცხენა ფრთაზე გაქცეულ ბლოხინს დაუგორა. კიეველმა საჯარიმოში ჩაწოდა, დასწრებაზე გამოსულმა მეკარე გუიდარმა ბურთი ვერ მოიხელთა და ბურიაკმა გაიტანა.

მალევე ყიფიანმა ბლოხინი ისევ მარცხნივ გააქცია. ჩაწოდება და მცველმა ბალინტმა საკუთარ კარში შეაგდო.

ორი გოლი რომ გაუშვეს, სტუმრები უფრო გააქტიურდნენ. ჩვეულებრივ ტექნიკურმა უნგრელებმა გუნდური თამაშითაც მოგვაწონეს თავი. ისინი ტაქტიკურადაც გამართულად მოქმედებდნენ, მაგრამ დეგტიარიოვი მაგრად იდგა.

არც უკანახაზელებს შეურცხვენიათ თავი. ცენტრალურ მცველებს, ხინჩაგაშვილსა და ნოვიკოვს, რომლებიც ამ დღეს წყვილში პირველად თამაშობდნენ, ფაქტობრივად, შეცდომა არ დაუშვიათ.

მეორე ტაიმში ყიფიანი რამდენიმე დიდებული, გრძელი პასით გამოირჩა. ბოლო ათ წუთში კი თავად მოექცა შეტევის ცეცხლში. ჯერ ვარდნაში თავით დაარტყა, მაგრამ ბურთმა ძელთან ახლოს ჩაიქროლა, მერე ახლოდან ორჯერ დარტყმული მეკარე გუიდარმა აუღო...

ცნობილი რუსი ჟურნალისტი ვალერი ვინოკუროვი კი წერდა: „ვფიქრობ, ფეხბურთელებისთვის სასიამოვნო იყო გადაჭედილი სტადიონის მხარდაჭერა. ობიექტური და კეთილგანწყობილი თბილისელი მაყურებლები გულით ქომაგობდნენ ჩვენს ნაკრებს. ბიჭებიც მინდორზე ბრძოლის ჟინით ანთებულნი გამოვიდნენ და საქმე, ფაქტობრივად, 15 წუთში მოათავეს“.

თბილისში კი მოიგეს, მაგრამ იმ ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე უნგრელები გავიდნენ და მერე არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ყველას კარგად დაამახსოვრეს თავი. რა ექნათ, თუკი ქვეჯგუფში არგენტინასთან, იტალიასა და საფრანგეთთან მოხვდნენ...

მეორედ მადიარები 79-ის გაზაფხულზე გვეწვივნენ. 19 მაისს ისევ „დინამოს“ გადაჭედილ სტადიონზე სსრკ-თან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გამართეს და 2:2 გაახერხეს. იმ სალამოს ჯამში ხუთმა ქართველმა ითამაშა: ვიტალი დარასელიამ, მანუჩარ მაჩაიძემ, ვახტანგ ქორიძემ, დავით ყიფიანმა და რამაზ შენგელიამ. კიდევ ორი, თამაზ კოსტავა და ვლადიმერ გუცაევი ტრავმის გამო ვერ გავიდნენ მინდორზე. ერთი სიტყვით, უნგრელებს ლამის საქართველოს ნაკრები დაუპირისპირდა.

მატჩის გმირი კი სტუმართა ნახევარმცველი ანდრაშ ტიოროჩიკი გახდა, რომელმაც ჩინებულ დრიბლიორად დაგვამახსოვრა თავი. ტიოროჩიკს ალექსანდრ ბუბნოვი მეურვეობდა და რომ ვერაფერი მოუხერხა, უხეშობას უმატა და აკი გააძევეს კიდეც.

საბჭოელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ უნგრელები მცირე შანსის გაჩენისთანავე მწვავედ პასუხობდნენ. ჩესნოკოვის გოლს ტატარის საპასუხო მოჰყვა. მერე ტიოროჩიკმა ცენტრიდან თავისებური წამოიწყო, რამდენიმე მასპინძელი მოატყუა და პუსტაის მეორე გაატანინა.

აბა, საბჭოელებს თბილისში ვინ უშველიდა, თუ არა ქართველი და ისევ რამაზ შენგელიამ ივარგა: ბლოხინის კუთხურს მეკარის ბაქანზე ბრძოლა დაერთო, სადაც შენგელიამ ყველას დაასწრო და მეკარე ტოტმა ბურთი უკვე კარში დაიჭირა.

კიდევ ერთ ჩვენიანს შეეძლო თავის გამოჩენა. მეორე ტაიმშივე დარასელიას ლონივრად დარტყმული ბურთი მეკარის ზურგს უკან აღმოჩნდა, მაგრამ ბოლო წამს მცველმა ბალინტმა კარის ხაზიდან გამოიტანა.

იმ წელს ამ ჯგუფიდან ვერც უნგრეთი და ვერც საბჭოელები გავიდნენ. იტალიის ევროპის ჩემპიონატზე ყველასთვის მოულოდნელად ბერძნები გაემგზავრნენ.

ეს ყველაფერი თითქოს გუშინ იყო, ოც წელიწადზე მეტი კი გასულა.

ხვალ ისევ უნგრეთი და ახალთაობის ქართველი ფეხბურთელები.

ვნახოთ...

**სოლომონ გულისაშვილი**



1979 წლის 19 მაისი. სსრკ — უნგრეთი 2:2. რამაზ შენგელიამ უნგრელებს „თავისი“ მაინც გაუტანა



1958 წლის 28 სექტემბერი. სსრკ — უნგრეთი 3:1. სლავა მეტრეველი მეტოქე მცველებს ხშირად აწუხებდა

# რა ხდება რეალის გასახდელში?

## ამბიციური ვარსკვლავები ერთმანეთს ჭამენ — ამტკიცებს ხრისტო სტოიჩკოვი

## ყველაფერი კარგადაა — შარყოფს რობერტო კარლოსი






რობერტო კარლოსი, ლუიშ ფიგუ და ზინედინ ზიდანი: გვაცადეთ, ნუ ჭორაობთ!

**ესპანეთში** გრძელდება თემა: ზიდანი, ზიდანმა, ზიდანს... თუმცა, რაღა ესპანეთში, მთელ დედამიწაზე ყველას ეს აქვს ამოჩემებული. აი, მაგალითად, ბულგარული ფეხბურთის ლეგენდა ხრისტო სტოიჩკოვი თვლის, რომ ზინედინ ზიდანის ყიდვა მადრიდის „რეალს" გასახდელში ჩხუბს მოუტანს, ხოლო თავად ფრანგ ვარსკვლავს ნიკოლა ანელკას ბედს სწევს.

„ზიდანი ანელკასავით დაასრულებს" — იწინასწარმეტყველა ნათელმხილველ ვანგას თანამემამულემ — „ის, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, სხვა მოთამაშეთა შურს წარმოშობს".

პრინციპში, რასაც სტოიჩკოვი ამბობს, მართლაც ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია, მაგრამ თავად ამ ნათქვამსაც რომ ერთგვარი კატეგორიულობა ახლავს, არც ამას სჭირდება დიდი მტკიცება. თუმცა, ყველაფერი გასაგები გახდება, თუ დავძენთ, რომ ეს სიტყვები 1994 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა ბარსელონაში წარმოთქვა. ქალაქში, სადაც კარგა ხანს აგორებდა ბურთს და ამას წინათ ეწვია. ინტერვიუ „კამპ ნოუს" ყოფილ კერპს ტელეკომპანია Antena 3-მა ჩამოართვა.

ისე კი, სტოიჩკოვი და მისი ბარსელონელობა გვერდით იყოს და ესპანეთში მართლაც ბევრი ფიქრობს, რომ „რეალის" მარცხი „ვალენსიასთან" ჩემპიონატის პირველ ტურში, გუნდის წევრთა ამბიციურობის ბრალი იყო.

„ეს სიცრუეა" — ხმა აიმაღლა „სამეფო გუნდის" ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა — „ჩვენ არ გავთავხედებულვართ. „რეალის" გასახდელში ნორმალური ხალხი ტრიალებს. ვერ გამიგია, საიდან მოდის ეს ანტიმადრიდული სულისკვეთება. ყველაფერი ისე სწრაფად ხომ არ მოხდება, როგორც გვინდა. განა იმისთვის, ფეხბურთელები ერთმანეთს რომ შეეგუონ, დრო არ არის საჭირო?"

„რეალისგან" განსხვავებით კი „ბარსელონაში" ყველაფერი რიგზეა. კატალონიელებმა პირველ ტურში გაიმარჯვეს და, საყოველთაო აზრით, ამ სეზონში ფავორიტები იქნებიან. მოგეხსენებათ, „ბარსელონას" ზიდანის დარი ვარსკვლავი ამ ზაფხულს არ უყიდია, თუმცა არგენტინელი ახალგაზრდა, ხავიერ სავიოლა სწორედ ის შენაძენი გამოდგა, რომელსაც ყველა საგანგებო მოლოდინით შესცქერის.

თუმცა „ბარსადან" მიდიან კიდეც. კერძოდ, იქაურთა კერპი, ვეტერანი ხოსეპ გვარდიოლა, რომელმაც სხვაგან გადასვლის თაობაზე კარგა ხნის წინ განაცხადა, დღეს გადაწყვეტს, სად გააგრძელებს დასრულების პირას მისულ კარიერას. მას ინგლისის, იტალიის და გერმანიის კლუბები ეპატიჟებიან, ამასწინათ კი დაირხა ხმა, რომ პეპის ყიდვით განსაკუთრებით „ფულემი" დაინტერესდა, თუმცა ლონდონელთა ფრანგი თავკაცი ჟან ტიგანა ჯერჯერობით უარყოფს ამ ხმას.

**ბაგუნა ძედია**




ხრისტო სტოიჩკოვი

ზურაბ ფოცხვერია სამძიმარს უცხადებს
რამაზ გოგლიძეს სიძის
დათო კაკულიას
გარდაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ საქართველოს ბეისბოლისა
და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტს რამაზ გოგლიძეს სიძის
დათო კაკულიას
გარდაცვალების გამო

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაუგრძნობს სპორტის
სახელმწიფო კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს რამაზ გოგლიძეს სიძის
დათო კაკულიას
გარდაცვალების გამო

საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული კომიტეტი
სამძიმარს უცხადებს სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს,
არაოლიმპიურ სახეობათა კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტს რამაზ გოგლიძეს სიძის
დათო კაკულიას
გარდაცვალების გამო

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". ზომიერი კლიმატი. პირველი ტაიმის მე-17 წუთი. მეტოქის (ვინაობას მნიშვნელობა არ აქვს) კარში მსაჯმა ჯარიმა დანიშნა. გამორბიან ბექემი, გიგზი, ვერონი, კინი და გარი ნევილი. მოწინააღმდეგე თავიდან იბნევა, მერე ხვდება ყველაფერს, მაგრამ გვიანაა. ბექემი, გიგზი, ვერონი, კინი და გარი ნევილი (თავით) ერთად არტყამენ ბურთს. მეკარე ხვდება, რომ საქმე დიადი გუნდის დიად ფეხბურთელთა დიადი ფანტაზიის ახალ ნაყოფთან აქვს და გოლს უშვებს. მანჩესტერელთა მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი სიხარულისგან კიდევ ათ ცალ სალეჭ რეზინს იყრის პირში. პირი ოფიციალურად აღარ ეხურება. ამ დროს მისი ტელეფონი რეკავს.

— ჰო!

— ალექს, მე ვარ, „ფ.კ. მანჩესტერ იუნაიტედის" მეპატრონეთა საბჭოს თავმჯდომარე. იცი ვინც. სხდომიდან გირეკავ.

— მერე?

— მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გითხრა.

— რა დროს ეგ არის, ვერ ხედავ, ბარტეზმა ცხრიანიდან თავით მოხსნა ბურთი. მალე სქოულზმა „ჩერეზსებია" პენალტი უნდა დაარტყას.

— ეგ არაფერი. მთავარია, კინს არ დაარტყმევინო. საერთოდაც გამოცვალე დროზე, სამი წუთი დარჩა. უთხარი, ჩქარა ჩაიცვას და აეროპორტში გავარდეს.

— რაო?! რაებს როშავ. რა სამი წუთი, რის აეროპორტი.

— დროზე, დროზე... „რომაში" გაყიდეს და კონტრაქტის თანახმად სამ წუთში „იუნაიტედში" თამაშის უფლება აღარ ექნება. გამოცვალე, გეუბნები, ცხრის ნახევარზე „რომა" თამაშობს, შემადგენლობაშია დაყენებული. გავარდეს, იცოდე, მისასწრები აქვს.

ფერგიუსონი აღელვებისგან კიდევ ათ სალეჭ რეზინს იყრის პირში. ამ დროს ტელეფონში:

— გესმის, კაცო? რას დამდგარხარ, მიდი მალე. ორი წუთი დარჩა.

— მერე მე ნახევარდაცვაში ვინ მეყოლება?

— ნიკოლას კეიჯს ვყიდულობთ.

— ვის?

— კეიჯს! რა მოგივიდა, ტელევიზორს არ უყურებ? კინოში არ დადიხარ? მალე-მეთქი...

— კეიჯი ხომ მსახიობია.

— მერე? ვის სანახავად უფრო მეტი ხალხი ივლის სტადიონზე, კინის თუ კეიჯის? ვის სანახავად ჩართავს ტელევიზორს უფრო მეტი, კინის თუ კეიჯის? ჩქარა, ბიჭო, ნუ გამაცეცხლე, წუთიღა რჩება.

— კეიჯი?

— ჰო, ჰო, ჰო! თან კოპოლას ძმისშვილია. აზრზე ხარ, რამდენ მაისურს გავყიდით. ხუთი პროცენტი შენია. მიდი, გამოცვალე.

— იცი, რა ვერ გავიგე...

— ოცდაათი წამი! დაგვაჯარიმებენ, ალექს!

— ჰოდა, ესე იგი, კინი...

— ოცი პროცენტი! ჯანდაბას...

ფერგიუსონი მობილურს განზე აგდებს და ყვირილით გარბის მოედნის კიდესთან.

— რეფერი! რეფერი! შეცვლა მაქვს!

შვიდი წამი რჩებოდა.

**ბაგუნა ძედია**

მიმოხილვაში ყველაფერი ავტორის ფანტაზიის ნაყოფი გახლავთ. ნებისმიერი დამთხვევა სინამდვილეში არსებულ პიროვნებებთან შემთხვევითია.

*ENGOTENGO@HOTMAIL.COM*



„მანჩესტერ იუნაიტედის" ახალწვეული

# ამათაც გადაუთამაშდებათ?

## ეგვიპტე ავსტრიულად ცდილობს

დღეს ფიფა-უეფაში საქმეების გარჩევა-ბია. უეფა „ტიროლ“ — „ლოკომოტივზე“ იმსჯელებს, ფიფა კი ალჟირ — ეგვიპტეზე

ალბათ გახსოვთ, რომ მსოფლიოს აფრიკის ზონის მესამე შესარჩევი ჯგუფიდან კორეა-იაპონიის საგზური სენეგალმა მოიპოვა, ხოლო ეგვიპტე, რომელსაც ასევე შანსი ჰქონდა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებისა, სტუმრად ალჟირს ხვდებოდა. ეგვიპტელებს სამი და მეტი ბურთით მოგება ესაჭიროებოდათ სენეგალისთვის რომ გადაესწროთ. მოგებას ვინ ჩივის, ის შეხვედრა ფრედ დამთავრდა. სენეგალის გასვლით და ეგვიპტელთა ჯგუფში ჩარჩენით ალჟირელმა გულშემატკივრებმა ისე გაიხარეს, სულ ქვა-ღორღის რახარუხი აუყენეს სტუმრებს. ჯერ იყო და, თამაში დროებით შეწყდა, მატჩის დამთავრების შემდეგ კი ეგვიპტელები შიშით გასახდელიდანაც კი ვერ გამოდიოდნენ.

ამ ინციდენტს ჩაბლაუჭებული და დაზარალებული სტუმრები ფიფას კართან აიტუზნენ, გადავითამაშოთო. რა პასუხს მიიღებენ ეგვიპტელები ფიფასგან, დღეს გაირკვევა, სენეგალის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი კი იღრინება, ეგვიპტელებმა მაგ არაკაცურ საქციელს თავი დაანებონო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არაბული ზღაპარი

## ფლორენცია მანჩესტერი იქნება

თუ მოჰამედ ალ ფაედმა „ფულემი“ ააყვავა და მისი გუნდი პრემიერლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედს“ ტოლ-სწორად ეთამაშება, მე რატომ ვერ შევძლებ იგივეს ფლორენციაშიო? — იფიქრა დუბაელმა ემირმა მაქთუმ ალ მაქთუმმა და „ფიორენტინას“ ყიდვა განიზრახა. არაბი მილიონერი (თუ მილიარდელი) სპორტის დიდი ტრფიალი ყოფილა, განსაკუთრებით დოღი ჰყვარებია. მან თავისი სპორტული ბიზნეს-იმპერიის გაფართოების მიზნით ბა[illegible]როტის პირას მისული ფლორენც[illegible]ი „ფიორენტინას“ შეძენა მოინდომა. მაქთუმ ალ მაქთუმმა კარგად იცის, რომ ფეხბურთი ცხენის ჭენება არ არის და ამიტომ ამ საქმის მოკვარახჭინება პირად წარმომადგენელს, შახრან ტუტუნჩის დაავალა. ეს კაციც არ უნდა იყოს მთლად ტუტუცი, რადგან ასეთი რამ განაცხადა: „მთელი დოკუმენტაცია ახლა იურისტებთან არის და ისინი 15 სექტემბრისთვის ანუ იმ დღისთვის, რცა სასამართლოში „ფიორენტინას“ გაკოტრების ამბები გაირჩევა, მომზადდება, თუ გარიგება წარმატებით დასრულდა, კლუბის ახალი პრეზიდენტი ფლორენციელი იქნება, რობერტო მანჩინი კი მწვრთნელის პოსტზე დარჩება“. ემირის მოციქულმა კიდევ დაამატა, რომ მათ შემუშავებული აქვთ ეგრეთ წოდებული „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოდელი, რომელზეც ორი თვე (!) მუშაობდნენ და მისი რეალურად განხორციელება სწადიათ.

**ვაჟა ხუციშვილი**




არაბები რობერტო მანჩინის კარგი თვალით უყურებენ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქარდელს ღუზას ჩააშვებინებენ

**ქრისტეფორე კოლუმბი** ცოცხალი რომ იყოს, ალბათ მასაც შეშურდებოდა მარიო ჟარდელის დაუსრულებელი მოგზაურობისა. უფრო მეტიც, მისმა შემხედვარე „გალათასარაის“ მამებმა შეიძლება უეფას „საუკეთესო მოგზაური ფეხბურთელის“ პრიზის დაარსებაც კი შესთავაზონ. სტამბოლი — პორტუ — სტამბოლი — მარსელი — რიო დე ჟანეირო — პორტუ — სტამბოლი — ? ამ კითხვის ნიშნის ქვეშ დღეს ლისაბონი დგას. „სპორტინგის“ მესვეურები თითქმის თანახმანი არიან, 5 მილიონ 800 ათასი დოლარი გაიღონ ჟარდელში, თანაც ზედ სამი ფეხბურთელი დაამატონ: პაველ ჰორვატი, რობერტ შპეხარი და მბო მპენზა. როგორც თურქები იტყობინებიან, მათი წარმომადგენლები სულ მალე ლისაბონში ჩავლენ და ამ გაუთავებელ ამბავს თავისი ხელმოწერით მოახრჩობენ.

ამასობაში „გალათასარაის“ უკვე შეუგულებია ფეხბურთელი, რომელსაც მარიო ჟარდელისგან მიღებული ფულით იყიდიან. იგი ავსტრიული „შტურმის“ ურუგვაელი მცველი, 16 წლის ანდრეს ფლერგუინი გახლავთ. თურქებს ამ ტრანსფერის სწრაფად განხორციელება სურთ, რათა ფეხბურთელის სალიგო განაცხადში შეყვანა მოასწრონ.

**ვაჟა ხუციშვილი**


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# მე ვარ შენ თუ შენ ხარ მე?

## ბეკენბაუერს ტყუპისცალი ჰყოლია



„ბაიერნის“ პრეზიდენტი და გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერი ერთ მშვენიერ საღამოს ტელევიზორს უყურებდა. „კაიზერი ფრანცი“ სავარძელში მოკალათებულიყო, ტელევიზორი კი, რაღა თქმა უნდა, ჩართული იყო. სარეკლამო პაუზის დროს ბეკენბაუერს დაუმთქნარებია და საკუთარი თავი ეკრანზე რომ დაუნახავს, პირღია დარჩენილა. ცხადია, მას საკუთარი სახე ტელევიზორში ხშირად უნახავს, მაგრამ არა სარეკლამო რგოლში. მაინც რა ნახეს მისმა თვალებმა? შედის თურმე ბეკენბაუერი მაღაზიაში და იწყებს წუწუნს, რომ მის ტელეფონზე გამოგზავნილი შეტყობინებები სადღაც იკარგება, რის გამოც უკმაყოფილოა. ამ დროს პერსონალი მას სატელეკომუნიკაციო კომპანია „დოიჩ ტელეკომის“ მომსახურებას სთავაზობს და ისიც თანხმდება. „კაიზერ ფრანცი“ ჯერ ისე არ დაბერებულა, არ ახსოვდეს, გადაიღეს თუ არა იგი მსგავს სარეკლამო რგოლში. აღმოჩნდა, რომ ის მეორე მისი ორეული იყო, რომელიც „დოიჩ ტელეკომმა“ რეკლამისთვის „შეუკვეთა“. თავად ბეკენბაუერი თურმე კომპანია „ე-პლუს“-ის კლიენტი ყოფილა, ეს კომპანია კი „დოიჩ ტელეკომის“ უშუალო კონკურენტია.

ფრანც ბეკენბაუერმა ამასთან დაკავშირებით სასამართლოში იჩივლა, პროცესიც მოიგო და მალე, ალბათ, მისი უკანონო გაორებისთვის სოლიდურ კომპენსაციასაც მიიღებს.

### ფეხბურთის რუკასთან



ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ „ფრაიბურგის“ ცენტრალური მცველი დანიელ შუმანი ექვსი თვით მწყობრიდან გამოვიდა. მან ტრავმა გერმანიის თასის მატჩში, სამოყვარულო „იესილიურტთან“ შეხვედრისას მიიღო. მედიკოსებმა 24 წლის ფეხბურთელს მენისკი დაუდგინეს. „ფრაიბურგის“ მწვრთნელი ფოლკერ ფინკე შეგირდის ტრავმამ დაამწუხრა. იგი შუმანს ენდობა და უეფას თასისთვის ჰყავდა შემონახული.

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ „მილანის“ 24 წლის ნახევარმცველი ფრანჩესკო კოკო ესპანურმა „ბარსელონამ“ იჯარით წაიყვანა. საიჯარო თანხა 2,19 მილიონ დოლარს შეადგენს, თუმცა „ბარსელონა“ თუ კოკოს სრულად შეძენას განიზრახავს, მაშინ მას ერთი წლის მერე „მილანისთვის“ 17 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს. კოკო პირველი იტალიელი ფეხბურთელია, რომელიც პირინეის ნახევარკუნძულზე მოსინჯავს თავის ოსტატობას. მას „ბარსელონაში“ კვლავაც 77-ე ნომრის არჩევა სურდა, თუმცა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის დებულებით, ეს დაუშვებელი ყოფილა და კოკოსაც სხვანომრიანი მაისურის ჩაცმა მოუწევს. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის თქმით, ისინი კოკოს გუნდიდან გაშვებას არ აპირებდნენ, მაგრამ ასე თავად ფრანჩესკომ ითხოვა, მე სათამაშო პრაქტიკა მჭირდება, ფათიჰ თერიმის ხელში ამის ნაკლების შანსი მაქვს და მინდა, იტალიის ეროვნულ გუნდში ადგილი კვლავაც შევინარჩუნოო.

ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲛᲐ სევილიის „ბეტისმა“ ლისაბონის „ბენფიკადან“ თავდამსხმელი ჟოაუ ტომასი გადაიბირა. სევილიურ კლუბს ტომასის ტრანსფერი 2,5 მილიონი გირვანქა დაუჯდა. „ბენფიკაში“ ფეხბურთელი ერთი წლის წინ პორტუგალიის მეორედივიზიონური კლუბიდან 15 000 გირვანქად გადავიდა და შარშან პიერ ვან ჰოიდონკის მერე კლუბის მეორე ბომბარდირი გახლდათ. „მოლაპარაკებები დასრულდა. ყველანი კმაყოფილნი ვართ“ — განაცხადა „ბენფიკას“ პრესატაშე სერჟიუ ვილარინიუმ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲛᲐ „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ ფლორენციის „ფიორენტინას“ 4,5 მილიონი გირვანქა შესთავაზა, ჩეხი მცველი ტომაშ რჟეპკა დამითმეო. „ვესტ ჰემის“ მწვრთნელი გლენ რიოდერი დარწმუნებულია, რომ რჟეპკა მისი გუნდის დაცვას ჩინებულად მოერგება და ამ რგოლში არსებულ ხარვეზებს აღმოფხვრის. ტომაშ რჟეპკა ახლა ჩეხეთის ეროვნული ნაკრების შეკრებაზეა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადება. ვარაუდობენ, რომ რჟეპკა სწორედ სანაკრებო მატჩების შემდეგ ეწვევა ლონდონს.

ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ „დეპორტივო“ თანახმაა, ინგლისურ „ნიუკასლ იუნაიტედს“ 7 მილიონი გირვანქა გადაუხადოს, სანაცვლოდ კი გალისიაში პერუელი ნახევარმცველი ნოლბერტო სოლანო წაიყვანოს. „კაჭკაჭთა“ მწვრთნელ ბობი რობსონსა და სოლანოს შორის შავმა კატამ კარგა ხანია, გაირბინა და კორუნიელებიც იმედს არ კარგავენ, რომ რობსონი პერუელს თავიდან მოიცილებს.

ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲛᲐ „პანიონიოსმა“ როგორც იქნა, მწვრთნელი დანიშნა. მისი რჩეული 56 წლის რუმინელი დუმიტრუ დუმიტრიუ გახდა. დუმიტრიუმ ამას წინათ გათავისუფლებული ფინელი სპეციალისტის, მარტი კუუსელას სავარძელი დაიკავა. დუმიტრიუმ, რომელმაც 1989 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში ბუქარესტის „სტიაუა“ იტალიურ „მილანთან“ ათამაშა, ბერძნულ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „იგი საუკეთესო კანდიდატურა გახლდათ. დუმიტრიუ ცნობილი მწვრთნელია, იმავდროულად წარმატებულიც. დარწმუნებული ვარ, „პანიონიოსს“ ჩინებულად უხელმძღვანელებს“ — კმაყოფილია ბერძნული გუნდის მფლობელი ახილეს ბეოსი.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ „სოშოს“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ პორტუგალიური „ბოავიშტადან“ მცველი უილიამ კევედო შეიძინა. კონტრაქტის დეტალები და სატრანსფერო თანხა კი არ გაუმხელიათ. 30 წლის მარცხენა მცველი ორჯერ გახდა პორტუგალიის საუკეთესო თვის პოზიციაზე.

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲘ ნახევარმცველი ხოსეპ გვარდიოლა სავარაუდოდ დღეს გაამხელს იმ კლუბის ვინაობას, რომელშიაც გააგრძელებს თავის საფეხბურთო კარიერას. „ბარსელონა“ გვარდიოლამ თავისი ნებით გასული სეზონის ბოლოს დატოვა და მას მერე სასურველი გუნდის ძიებაშია. ჩამოთვლილია მისი მსურველი კლუბებიც — „ფულემი“, „მილანი“, „პარმა“, „ლივერპული“ და „ბაიერნი“. რომელს აირჩევს გვარდიოლა, შესაძლოა დღესვე გახდეს ცნობილი.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲤᲠᲘᲙᲔᲚᲘ თავდამსხმელი ბენი მაკკარტი ესპანური „სელტადან“ ინგლისურ „მიდლსბროში“ იჯარით გადავიდა. „ბორომ“ ვიგოელებს 11 მილიონი დოლარი გადაუხადა და ფეხბურთელიც ერთი წლით წაიყვანა. „ვფიქრობ, საუკეთესო გადაწყვეტილება მივიღე. „სელტაში“ ისეთი ფეხბურთელების მოსვლით, როგორებიც ფლორიან მორისი და ზვონიმირ ბობანი არიან, ჩემთვის ძირითადში ადგილი აღარ გამოინახებოდა. ამიტომაც გაცლა ვარჩიე. ვთვლი, რომ მორისი და ბობანი „სელტას“ ძალიან გააძლიერებენ, თუმცა გუნდში მთავარი ფიგურა მაინც მოსტოვოი-კარპინის დუეტი იქნება“ — თქვა მაკკარტიმ.

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲛᲐ „პსვ ეინდჰოვენმა“ გუშინ საბოლოოდ დაადასტურა, რომ ცენტრალური მცველი კევინ ჰოფლანდი „მანჩესტერ იუნაიტედში“ არ გადავა და ერთი წლით კვლავაც გუნდში დარჩება. თუმც კლუბის პრეზიდენტ არი ვან რააის თქმით, შესაძლოა, კევინი „მანჩესტერში“ სეზონის ბოლოს მაინც წავიდეს. ამასობაში კი სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი კვლავაც ცდილობს, მილანის „ინტერიდან“ ფრანგი ლორან ბლანი გადაიბიროს. „მანჩესტერში“ თამაში თავად ბლანს ძალიან სურს, თუმცა მილანელთა ბოსი მასიმო მორატი 35 წლის ფეხბურთელის გაშვებას სულ არ ფიქრობს, მერე მისი შემცვლელის პოვნა გაგვიჭირდებაო. წუხელ კი „ინტერი“ ბლანის გუნდიდან გაშვებას დათანხმდა, რადგან ფრანგი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ექიმებმა შეამოწმეს.

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲔᲚᲛᲐ ნუნუ გომეშმა „ფიორენტინას“ დატოვების სურვილი გამოთქვა. 22 წლის ფეხბურთელის თქმით, გუნდი, რომელიც ტოლდოს, რუი კოშტასა და რუეპკას გაყიდის, უმოტივაციოა და იქ დარჩენის სურვილიც არა აქვს. „ვფიქრობ, ახალ კლუბში გადასვლა ჩემთვის სასიკეთოდ იმოქმედებს. რამდენადაც ვიცი, წინადადებები მრავლად მაქვს“ — ამბობს უკმაყოფილო პორტუგალიელი. ცნობილი გახდა ისიც, რომ ნუნუ გომეშის თავისთან ხილვა „მონაკოს“, „ლივერპულს“, „ტოტენჰემს“, „პარი სენ ჟერმენს“, „ოლიმპიაკოსსა“ და „მილანს“ სურთ.

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲔᲚᲘ თავდამსხმელი პატრიკ მბომა უახლოეს ხანში კონტრაქტს გაუფორმებს „ტოტენჰემ ჰოთსპურს“. ზუსტად ასე გაავრცელა სააგენტო worldsoccernews-მა იტალიური „პარმას“ ფეხბურთელის შესაძლო გადასვლა „უაით ჰართ ლეინზე“. კონტრაქტი, სავარაუდოდ ოთხწლიანი იქნება და მბომას გლენ ჰოდლის გუნდში ტრავმირებული ლეს ფერდინანდის შეცვლა მოუწევს. როგორც ჩანს, გულხელდაკრეფილი არც რენცო ულივიერის „პარმაა“ და იტალიელებმაც მბომას შემცვლელზე დაიწყეს ზრუნვა და „მონაკოს“ შავკანიან შაბანი ნონდას დაადგეს თვალი.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲛᲐ „მარსელმა“ გუშინ იჯარით არგენტინელი დამიან მანსო აიყვანა. „ნიუელს ოლდ ბოიზის“ აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი „ოლიმპიკში“ მილიონ დოლარად გადავიდა. ეს საიჯარო თანხაა, თუ ფრანგები დამიან მანსის საბოლოო შეძენას გადაწყვეტენ, მაშინ „ოლდ ბოიზს“ 5 მილიონ დოლარს გადაუხდიან.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲛᲐ ენრიკე დე სოუზამ, იგივე ევერტონმა, ესპანურ „ბეტისთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ესპანურმა კლუბმა „კორინთიანსს“ 9,5 მილიონი დოლარი ჩაუთვალა. ევერტონს სევილიაში ხვალისთვის ელიან, რათა სამედიცინო შემოწმება გაიაროს და სრულფასოვანი ბეტისელიც მაშინ გახდეს. „ჩემთვის „ბეტისში“ გადასვლა ფინანსურადაც მომგებიანია“ — ლაკონურად თქვა ევერტონმა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი სახვალიო მატჩისთვის ლიტველების წინააღმდეგ „პერუჯას“ ნახევარმცველ ფაბიო ლივერანის უხმო. ლივერანიმ „სკუადრა აძურას“ შეკრებაზე დაშავებული „რომას“ ლიდერი ფრანჩესკო ტოტი უნდა შეცვალოს. ვარჯიშზე მსუბუქად დაშავდა „ინტერის“ ფორვარდი კრისტიან ვიერიც, თუმცა ტრაპატონის იმედი აქვს, რომ ტირანული აღნაგობის „ბობოს“ მაინც ათამაშებს.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲘ მცველი ჟუანი მილანის „ინტერის“ თვალთახედვის არეში მოექცა. ჟუანი „ფლამენგოში“ თამაშობს, ახლა ბრაზილიის ნაკრებშია გამოძახებული და არგენტინელებთან პრინციპული მატჩისთვის ემზადება. „ფლამენგო“ თავის ცენტრალურ ფეხბურთელში 15 მილიონ დოლარს ითხოვს. „ინტერის“ პასუხი უცნობია. როგორც ჟუანის აგენტი ჟილმარ რინალდი აცხადებს, მილანური კლუბის გარდა მისით „რომა“ და „ლაციოც“ ყოფილან დაინტერესებულნი.

# კვიცი გვარზე, მარადონა მარადონაზე...

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ნაკრებში დიეგო არმანდო მარადონა მიიწვიეს. ნუ გაოცდებით, მართლაც ასეა, ოღონდ ლაპარაკია იტალიის ჭაბუკთა ნაკრებზე და ცნობილი არგენტინელის ნეაპოლში შობილ უკანონო შვილზე.

უმცროსი დიეგო ქვეყანას 15 წლის წინ მოევლინა და დედამისს, კრისტინა სინაგრას 7 წელი დასჭირდა იმის დასამტკიცებლად, ბიჭი მარადონასი რომ იყო.

ერთი სიტყვით, 1993 წელს ნეაპოლის სასამართლომ დაადგინა: კრისტინა სინაგრას შვილის მამა დიეგო მარადონააო. ისე, ბიჭის შემხედვარეს დიეგოს მამობაში ეჭვი ძნელად შეგეპარებოდათ.

ამასობაში პატარა დიეგო იზრდებოდა, დღედალამ ბურთს დასდევდა, მამის გენებმაც თავისი გაიტანა და ჯერ „ნაპოლის“ ჭაბუკთა გუნდში უხმეს, ახლა კიდევ იტალიის ნაკრებში. „ეს ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტია“ — თქვა მარადონა უმცროსმა და იქვე დასძინა: „ეს წარმატება მემკვიდრეობით არ მიმიღია, ყველაფერი ჩემი და ჩემი მწვრთნელების დამსახურებაა“. საით უკაკუნებს პატარა მარადონა, მიხვედრა არ უნდა გაგიჭირდეთ.

ᲙᲐᲮᲐ ᲮᲣᲠᲘᲫᲔ



დიეგო არმანდო მარადონა უმცროსი

## იტალია

თასის შესარჩევი ეტაპი. III ტური

### A ჯგუფი

ჯენოა — ბარი 1:0; ტრევიზო — არეცო 2:0

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| ტრევიზო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| არეცო | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ბარი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:1 | 5 |

„ჯენოა“ გავიდა შემდეგ ეტაპზე

### B ჯგუფი

კომო — ვენეცია 1:1; კოზენცა — ასკოლი 2:2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ვენეცია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| კოზენცა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ასკოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

„კომო“ გავიდა შემდეგ ეტაპზე

### C ჯგუფი

სიენა — ლივორნო 1:1; პალერმო — ნაპოლი 3:0

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| პალერმო | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| ნაპოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ლივორნო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

„სიენა“ გავიდა შემდეგ ეტაპზე

### D ჯგუფი

კალიარი — ლუმეცანე 0:0; მოდენა — რეჯინა 3:0

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოდენა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| რეჯინა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| კალიარი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 4 |
| ლუმეცანე | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |

„მოდენა“ გავიდა შემდეგ ეტაპზე

### E ჯგუფი

ჩიტადელა — აველინო 3:1; მონცა — სამპდორია 1:2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ჩიტადელა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| მონცა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| აველინო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |

„სამპდორია“ გავიდა შემდეგ ეტაპზე

### F ჯგუფი

მესინა — ვიჩენცა 0:0; კროტონე — პესკარა 1:2

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მესინა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ვიჩენცა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| პესკარა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| კროტონე | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

„მესინა“ გავიდა შემდეგ ეტაპზე

### G ჯგუფი

ტერნანა — კიევო 1:1; პისტოიეზე — პრატო 2:3

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტერნანა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| კიევო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| პრატო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| პისტოიეზე | 3 | 0 | 0 | 3 | 4:7 | 0 |

„ტერნანა“ გავიდა შემდეგ ეტაპზე

### H ჯგუფი

კატანია — ანკონა 0:1; ემპოლი — სალერნიტანა 3:0

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ანკონა | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| სალერნიტანა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| კატანია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

„ემპოლი“ გავიდა შემდეგ ეტაპზე

### I ეტაპის წილისყრა

ჯენოა — პიაჩენცა; კომო — ფიორენტინა; სიენა — უდინეზე; მოდენა — ლეჩე; სამპდორია — ვერონა; მესინა — პერუჯა; ტერნანა — ბოლონია; ემპოლი — ტორინო

პირველი მატჩები — 19 სექტემბერს, საპასუხოები — 24 ოქტომბერს

„რომა“, „იუვენტუსი“, „ლაციო“, „პარმა“, „ინტერი“, „მილანი“, „ატალანტა“ და „ბრეშა“ თასისათვის ბრძოლაში მეორე ეტაპიდან ჩაერთვებიან

## უკრაინა

გადადებული მატჩი

კრივბასი 2:0 ტავრია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 6 | 5 | 1 | 0 | 16:5 | 16 |
| მ. დონეცკი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:3 | 15 |
| კარპატი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:8 | 15 |
| დინამო | 6 | 4 | 2 | 0 | 11:2 | 14 |
| დნიპრო | 7 | 3 | 4 | 0 | 7:2 | 13 |
| მ. მარიუპოლი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:8 | 11 |
| მეტალისტი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:16 | 10 |
| კრივბასი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | 9 |
| პოლიგრაფტექნიკა | 8 | 2 | 3 | 3 | 5:10 | 9 |
| მ. ზაპოროჟიე | 7 | 2 | 2 | 3 | 6:7 | 8 |
| ზაკარპატია | 8 | 1 | 3 | 4 | 10:20 | 6 |
| ტავრია | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| არსენალი | 7 | 1 | 0 | 6 | 4:9 | 3 |
| ვორსკლა | 6 | 0 | 1 | 5 | 2:9 | 1 |



ალპები და მთელი დასავლეთ ევროპის „სახურავი“ მონბლანი (ცენტრში — ჰორიზონტზე)

(დასაწყისი იხ. №159, 164)

# ესეც ალპები და ოლიმპიური დედაქალაქი

„საგანგებოდ ჩაველი შვეიცარიაში მწვერვალებზე ასასვლელად, ოღონდ მარტო ვარ და მთამსვლელობაში გამოუცდელი. თანამგზავრებს ვეძებ პირველი ნაბიჯის გადასადგმელად, მაგრამ არავის ვიცნობ, არავინ მიცნობს ამ ლამაზ ქალაქ ინტერლაკენში. ზაფხულობით აქ თავს იყრიან მთელი ქვეყნის ალპინისტები, აგერ, იმ თოვლ-ყინულიანი მწვერვალების ასაღებად, ასე მედიდურად, მრისხანედ და მიმზიდველად რომ დაგვცქერიან ზემოდან“ — ასე იწყებს თხრობას ქართველი ალპინისტი ერეკლე ლუკაშვილი თავის წიგნში „მთამსვლელის ჩანაწერები“, რომელიც 1967 წელს დაისტამბა თბილისში. წიგნში მოთხრობილია ერეკლე ლუკაშვილის პირველი მთამსვლური ნაბიჯები, რომელიც ავტორმა 1904 წელს გადადგა შვეიცარიის ალპებში.

იმ წლებში და მანამდეც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ქვეყნიერების გასაცნობად სხვა ქართველებიც მოგზაურობდნენ. იქ ზოგი ჩვენი თანამემამულე სტუდენტიც სწავლობდა, რომელთაგან ბევრს ალბათ ალპებისკენაც მიუწევდა გული და ვინმემ იქნებ იქიდანაც გადმოიხედა, მაგრამ ცნობა ამის შესახებ არ მოგვეპოვება.

თუმცა, კარგად გვახსოვს საბჭოთა ალპინიზმის მებაირაქტრე... პროფესორი გიორგი ნიკოლაძე, რომელმაც ჯერ კიდევ 13 წლისამ თავის დებთან, შემდგომში ასევე ცნობილ მეცნიერებთან რუსუდანთან და თამართან ერთად 1901 წელს ალპებში მწვერვალი ტეტ დე ჟეანი დალაშქრა. ეს თავისთავად საინტერესო და საყურადღებო ფაქტია. და მაინც, ამ პატარა მწვერვალზე 13 წლის ბავშვის ასვლას დებთან ერთად სპორტულ ასვლად ვერ მივიჩნევთ და არც სხვა ამგვარი ლაშქრობის ფაქტია ცნობილი.

ასე რომ, მანამ ამგვარი ცნობა გამოჩნდება, ერეკლე ლუკაშვილი უნდა მივიჩნიოთ იმ პიონერ ქართველ მთამსვლელად, რომელმაც ალპებზე სპორტული ლაშქრობა მოაწყო.

მაშინ ერეკლე ლუკაშვილმა ორი რუსი, ბერნის უნივერსიტეტის სტუდენტი სიმონი და ვენის კონსერვატორიის აღსაზრდელი ნაუმი შეიამხანაგა. მათთან ერთად მთამსვლელობის ანბანის გასაცნობად ჯერ პატარა კლდოვან მწვერვალ შტოკჰორნზე (2660მ) ავიდა.

„მთელი ქვეყანა ხელისგულივით გადაგვეშალა თვალწინ: ცადატყორცნილი ალპების თოვლიანი მწვერვალები, ქვევით მდელოები, ლურჯი ტბები და მწვანე ველები“ — წერს ერეკლე ლუკაშვილი და იქვე გვიზიარებს თავის ფიქრებს — „ამ თვალწარმტაცი სანახაობის მნახველი შეუძლებელია მთამსვლელი არ გახდეს!“-ო.

ჰოდა, ლუკაშვილც მოიწამლა მთების სიყვარულით და მერე ავიდა „დოზენის ლამაზ, თოვლიან მწვერვალზე, რომელიც მოყვანილობით მეცხვარის ფაფახს ჰგავს“. ერთგანაც და მეორეგანაც ლუკაშვილი და მასთან შეამხანაგებული სტუდენტები უგამყოლებოდ ავიდნენ, რადგან მისთვის გადასახდელი ფული არ ჰქონდათ. ისინი ასევე უგამყოლოდ ავიდნენ მომდევნო, გაცილებით რთულ მწვერვალებზე — ვედერჰორნზე (3708) და იუნგფრაუ ხოხზე (4167). თანაც ვედერჰორნი, რომლის სახელიც ავდრიანს ნიშნავს, მანამდე უვალი გზით დალაშქრეს.

ვინც მაგ უვალი გზით შესძლებს ავიდეს ვეტერჰორნზე, ისტორიაში შევაო, უთქვამს ერეკლე ლუკაშვილისთვის ერთ პროფესიონალ შვეიცარიელ გამყოლს.

ვერ გეტყვით, იმ უვალი გზით ასვლის წყალობით რამდენად ახსოვს ალპების ალპინიზმს ერეკლე ლუკაშვილის სახელი, მაგრამ ქართველი მთამსვლელობის მატიანეში იგი იქაურ მწვერვალებზე ჩვენი პირველი მოლაშქრეა.

ვეტერჰორნის შემდეგ თავის ბოლო ლაშქრობას, იუნგფრაუ ხოხზე ასული ასე აღწერს იქიდან დანახულ მწვერვალებსა და თავის განცდებს: „ო, დიდებულო სანახაობავ! ჩვენს წინ ცამდე აზიდულა უშველებელი თეთრი მთა, სპეტაკი თოვლით დაფარული მონბლანი.

მოჯადოებული თვალს ვერ ვაშორებ ამ სიდიადეს. სად გაქრა წელანდელი დაქანცულობა? სიმონი ჯოხს იშვერს და გვეუბნება:

— აგერ, ის თითივით ამოშვერილი მწვერვალი მატერჰორნია, რომელზეც არაერთი მთამსვლელი დაღუპულა. ის ლამაზი მწვერვალი კი იუნგფრაუა (პატარძალი), ეს მრგვალი მწვერვალი — ეგერი (მონადირე), ეს კიდევ, იუნგფრაუს გვერდით რომ ატუზულა — მიონხი (ბერი), ის მრავალწვერიანი მთა კი მონტე-როზაა“.



გრან ჟორასი. მარცხენა პუნქტირით აღნიშნულია ხერგიან-ონიშჩენკოს მიერ გავლილი მარშრუტი

მერე ალპებში გამლვალი ყინულიდან ბევრმა წყალმა ჩამოიარა ჟენევისა და სხვა ტბებში, მაგრამ იქ ჩვენი მთამსვლელები 1964 წლამდე ველარ ასულიყვნენ. იმ წელიწადს კი ქართველ ალპინისტთა ერთი ჯგუფი ალპებში რამდენიმე მწვერვალზე ავიდა. მათ შორის იყო თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი, ფიზიკოსი შოთა მირიანაშვილი.

— შვეიცარიაში ჟენეველი მთამსვლელების მიწვევით ჩაველით — მახსენდება მირიანაშვილის ნაამბობი — ჩვენი მიზანი იყო ამ ქვეყანაში ალპინიზმისა და სამაშველო სამსახურის გაცნობა, გამოცდილების გაზიარება და, რა თქმა უნდა, მწვერვალების დალაშქვრა. თუმცა, დიდ სპორტულ მიზნებს არ ვისახავდით. თავდაპირველად ორ მწვერვალზე ავედით და ერთი ტრავერსიც მოვაწყეთ. ასვლები საშუალო სირთულის, მე-3 და მე-4 კატეგორიისა იყო. ამის შემდეგ მასპინძლებმა შამონიში ჩასვლა და მონბლანზე ასვლა შემოგვთავაზეს. მონბლანი სპორტული თვალსაზრისით არ გვიზიდავდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, იგი „ევროპის სახურავია“ და ეს მაცდური წინადადება უფრო ამიტომ მივიღეთ. შამონიდან მონბლანის მისადგომებისაკენ დილით ტრამვაით გავედით. დაახლოებით ისეთი ტრამვაი იყო, როგორიც თბილისში, ფუნიკულიორზე გვაქვს. ტრამვაიმ ფრიალო კლდის ძირამდე აგვიყვანა. ორი საათი ფეხით ვიარეთ და მაღალმთიან ადგილზე მდებარე სასტუმროს მივადექით. ღამე იქ გავათენეთ და დილით მწვერვალისკენ გავემართეთ. ჩვენს გარდა სხვებიც მოდიოდნენ. საკმაოდ ბევრნი იყვნენ. ოთხი საათის შემდეგ დიმიტრი დანგაძე, ოთარ და რევაზ ხაზარაძეები, ომარ ბერაძე, გიორგი ბერძენიშვილი, ნოდარ ნადირაშვილი და მე მონბლანის წვერზე ვიდექით. იქიდან საათნახევარში ჩამოვედით.

საინტერესოა, რომ ალპების მწვერვალთა საშუალო სიმაღლე კავკასიონისას თითქმის 1000 მეტრით ჩამოუვარდება. კავკასიონი და ალპები თითქმის ერთ განედზეა, მაგრამ იქაური მყინვარების ენები უფრო დაბლა ეშვება და ტყის ზონამდე ჩამოდის. ასე რომ, ჩვენი და იმათი მარშრუტები სიგრძით თითქმის თანაბარია. უნდა ითქვას ისიც, რომ ალპებში ხაიოიანი კლდეებია და მასზე ჩაჭიდება მაშინაც კი, როცა სველია, გაცილებით იოლია, ვიდრე კავკასიონზე.

რაკი შედარებაზე მიდგა საქმე, ისიც საინტერესოა, რომ კავკასიონის თავზე თვითმფრინავით ფრენისას ამ მთების ლამის მთელ სიგრძე-სიგანეს ხედავს კაცი, ალპების ზემოთ მოქცეულმა კი ილუმინატორიდან მწვანე ჰორიზონტი კარგა ხანს ვერც მარცხნივ დავინახე, ვერც მარჯვნივ და ვერც პირდაპირ.

1967 წელს სხვა საბჭოთა მთამსვლელებთან ერთად ამ მთებს ესტუმრა მიხეილ ხერგიანი, რომელმაც უმაღლესი სირთულის მწვერვალები გრან კაპუცინი, პტი დრიუ და გრან ჟორასი დალაშქრა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ვიაჩესლავ ონიშჩენკოსთან ერთად გრან ჟორასზე ასვლა, რომელიც განახორციელა ვალკერის ქედით, რაც მეტად რთულ მარშრუტად ითვლება. ამასთან მათ მწვერვალისკენ ნაწილობრივ ახალი „გზა“ გაკვალეს, რასაც შემდგომ „რუსული ვარიანტი“ ეწოდა.

თავდაპირველად ხერგიან-ონიშჩენკოს წყვილმა გრან ჟორასზე 60 გრადუსიანი დახრილობის ყინულოვან ფერდობზე 100-მეტრიანი მონაკვეთი დაძლია თავის ბერგშრუნდიანად, მერე კი 1200 მეტრიან კლდოვან კედელს მიადგა.

ამ ქედის კლდეები გაუთოვებულივით გლუვი იყო. თუ სადმე ნაპრალი ჩანდა, ისიც ყინულით ამოვსებული დახვდათ. „გზა“ 150-მეტრიან საფეხურებად მიემართებოდა ზემოთ, სადაც ზოგი მონაკვეთი მთლად ვერტიკალური იყო.

როცა ხერგიან-ონიშჩენკოს წყვილმა პირველი ბასტიონი აათავა და სულისმოსათქმელად შეიცადა, მოულოდნელად ზემოდან ხმა მოესმათ — იქ ესპანელი მთამსვლელები იყვნენ. საბჭოთა წყვილმა იქვე შეიცადა, რათა ესპანელებს რთული მონაკვეთი დაეძლიათ, მაგრამ ისინი სულ ცოტათი დაწინაურდნენ, მათ ფეხქვეშ მოწყვეტილი კლდიდან კი ქვები ხერგიან-ონიშჩენკოსკენ მოფრინავდნენ. ესპანელთა გასწრება შესაძლებელი, მაგრამ უხერხული იყო. ამიტომ ხერგიან-ონიშჩენკოს წყვილმა „გზას“ გადაუხვია, გაცილებით რთულ ბასტიონზე გავიდა, მისი დაძლევის შემდეგ კი კვლავ ნაცადს დაუბრუნდა და ამგვარად დალაშქრა მწვერვალი.

1973 წელს სხვა ჩვენი თანამემამულე, ლადო გურჩიანი თერთმეტ საბჭოთა მთამსვლელთან და მეკლდეურთან ერთად ალპებში იყო. მათ იქ დალაშქრეს დასავლეთ ევროპის უმაღლესი მწვერვალი მონბლანი, სიმაღლით მეორე პიკი ბრაიტ ჰორნი და კიდევ შვიდი მწვერვალი. მათ შორის, რაც მთავარია, რთული მარშრუტებით ავიდნენ ზუდ გიგანტზე, მონტე-როზაზე და გრანდ კაპუცინზე.



იტალია — საფრანგეთი — შვეიცარიის საზიარო ალპები. სადაც აქ ამ სამი ქვეყნის საზღვარი იკვეთება

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ლოზანა-თბილისი**

(გაგრძელება იქნება)

# ევროპის ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 31 აგვისტო | | |
| ანკარა | 16:30 | უკრაინა — ლიტვა |
| ანკარა | 18:45 | ისრაელი — საფრანგეთი |
| 1 სექტემბერი | | |
| ანკარა | 16:30 | საფრანგეთი — უკრაინა |
| ანკარა | 18:45 | ლიტვა — ისრაელი |
| 2 სექტემბერი | | |
| ანკარა | 16:30 | უკრაინა — ისრაელი |
| ანკარა | 23:15 | საფრანგეთი — ლიტვა |

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლორან სკიარა | უკანა ხაზი | 195 | 1973 | ვილერბანი |
| ტონი პარკერი | უკანა ხაზი | 188 | 1982 | რასინგი |
| ერიკ მიკუ | უკანა ხაზი | 185 | 1973 | რასინგი |
| მაკან დიუმასი | უკანა ხაზი | 196 | 1977 | ევრე |
| ალენ დიგბო | უკანა ხაზი | 196 | 1975 | ბარსელონა, ესპანეთი |
| სტეფან რიზაშე | ფორვარდი | 202 | 1972 | ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი |
| ლორან ფუარე | ფორვარდი | 197 | 1973 | ტაუ, ესპანეთი |
| ჯიმ ბილბა | ფორვარდი | 198 | 1968 | ვილერბანი |
| ვასკო ევტიმოვი | ფორვარდი | 205 | 1977 | ფორტიტუდო, იტალია |
| სირილ ჟულიანი | ცენტრი | 206 | 1974 | ნანსი |
| კროუფორდ პალმერი | ცენტრი | 208 | 1970 | კასერესი, ესპანეთი |
| ფრედერიკ ვეისი | ცენტრი | 218 | 1977 | უნიკახა, ესპანეთი |

მწვრთნელი: ალენ ვეისი

### ისრაელი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დერიკ შარფი | უკანა ხაზი | 183 | 1971 | მაკაბი თელ ავივი |
| პუპი თურჯემანი | უკანა ხაზი | 194 | 1970 | რაანანა |
| მეირ ტაპირო | უკანა ხაზი | 192 | 1974 | ჰაპოელ იერუსალიმი |
| ლიორ ლუბინი | უკანა ხაზი | 193 | 1977 | მაკაბი რამათ-განი |
| აფიკ ნისინი | უკანა ხაზი | 181 | 1981 | მაკაბი რიშონი |
| იოავ საფარი | ფორვარდი | 206 | 1975 | მაკაბი თელ ავივი |
| ბარაქ პელეგი | ფორვარდი | 194 | 1972 | ჰაპოელ იერუსალიმი |
| მოშე მიზრახი | ფორვარდი | 202 | 1980 | ჰაპოელ იერუსალიმი |
| იანივ გრინი | ცენტრი | 204 | 1980 | ბნეი ჰერცლია |
| შაჰარ გორდონი | ცენტრი | 207 | 1980 | ჰაპოელ იერუსალიმი |
| ისრაელ შაინფელდი | ცენტრი | 208 | 1976 | ჰაპოელ თელ ავივი |
| იდო კოზიკარო | ცენტრი | 202 | 1978 | გალილ ელიონი |

მწვრთნელი: მული კაცურინი

### ლიტვა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შარუნას იასიკევიჩუსი | უკანა ხაზი | 194 | 1976 | ბარსელონა, ესპანეთი |
| დონატას სლანინა | უკანა ხაზი | 191 | 1977 | ჟალგირისი |
| რიმანტას კაუკენასი | უკანა ხაზი | 193 | 1977 | გალილ ელიონი, ისრაელი |
| საულიუს შტომბერგასი | ფორვარდი | 203 | 1973 | ეფესი, თურქეთი |
| დარიუს სონგაილა | ფორვარდი | 204 | 1978 | უეიკ ფორესტი, აშშ |
| მინდაუგას ტიმინსკასი | ფორვარდი | 204 | 1974 | ტაუ, ესპანეთი |
| რამუნას შიშკაუსკასი | ფორვარდი | 198 | 1987 | ლიეტუვოს რიტასი |
| მინდაუგას ჟუკაუსკასი | ფორვარდი | 201 | 1975 | სიენა, იტალია |
| ანდრიუს იურკუნასი | ფორვარდი | 205 | 1976 | ჟალგირისი |
| გინტარას ეინიკისი | ცენტრი | 208 | 1969 | შლიონსკი, პოლონეთი |
| ეურელიუს ჟუკაუსკასი | ცენტრი | 218 | 1973 | ფორტიტუდო, იტალია |
| რობერტას იავტოკასი | ცენტრი | 208 | 1980 | ლიეტუვოს რიტასი |

მწვრთნელი: იონას კაზლაუსკასი

### უკრაინა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვადიმ პუდზირეი | უკანა ხაზი | 198 | 1970 | ოდესა |
| ალექსანდრ რაევსკი | უკანა ხაზი | 184 | 1977 | ნიკოლაევი |
| ანდრეი ლებედევი | უკანა ხაზი | 187 | 1979 | ბკ კიევი |
| ვიაჩესლავ ევსტრატენკო | უკანა ხაზი | 190 | 1974 | ბკ კიევი |
| დმიტრი კორაბლიოვი | ფორვარდი | 200 | 1977 | ბკ კიევი |
| ვლადიმირ რიჟოვი | ფორვარდი | 200 | 1978 | ბკ კიევი |
| ვიქტორ კობზისტი | ფორვარდი | 200 | 1979 | აზოვმაში |
| დმიტრი მარკოვი | ფორვარდი | 204 | 1976 | დნეპროპეტროვსკი |
| ნიკოლაი ხრიაპა | ფორვარდი | 207 | 1979 | ავტოდორი, რუსეთი |
| სტანისლავ ბალაშოვი | ცენტრი | 210 | 1979 | ბკ კიევი |
| სერგეი ლიშჩუკი | ცენტრი | 210 | 1982 | პულსარი |
| ალექსანდრ ოკუნსკი | ცენტრი | 215 | 1970 | დარუშაფაკა, თურქეთი |

მწვრთნელი: გენადი ზაშჩუკი

## B ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 31 აგვისტო | | |
| ანკარა | 21:00 | ლატვია — თურქეთი |
| ანკარა | 23:15 | სლოვენია — ესპანეთი |
| 1 სექტემბერი | | |
| ანკარა | 21:00 | თურქეთი — სლოვენია |
| ანკარა | 23:15 | ესპანეთი — ლატვია |
| 2 სექტემბერი | | |
| ანკარა | 18:45 | ლატვია — სლოვენია |
| ანკარა | 21:00 | ესპანეთი — თურქეთი |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფრანსისკო ვასკესი | უკანა ხაზი | 190 | 1974 | უნიკახა |
| ნაჩო როდრიგესი | უკანა ხაზი | 188 | 1971 | ბარსელონა |
| რაულ ლოპესი | უკანა ხაზი | 182 | 1980 | რეალი |
| ხუან კარლოს ნავარო | უკანა ხაზი | 193 | 1980 | ბარსელონა |
| პაუ გასოლი | ფორვარდი | 216 | 1980 | ბარსელონა |
| ხოსე ანტონიო პარაისო | ფორვარდი | 203 | 1971 | პამესა |
| ლუსიო ანგულო | ფორვარდი | 200 | 1973 | რეალი |
| ალფონსო რეიესი | ფორვარდი | 200 | 1971 | ესტუდიანტესი |
| კარლოს ხიმენესი | ფორვარდი | 202 | 1976 | ესტუდიანტესი |
| ხორხე გარბახოსა | ცენტრი | 204 | 1978 | ბენეტონი, იტალია |
| ჩარლზ კორნგაი | ცენტრი | 206 | 1974 | უნიკახა |
| ფელიპე რეიესი | ცენტრი | 204 | 1980 | ესტუდიანტესი |

მწვრთნელი: ხავიერ იმბროდა

### ლატვია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რობერტს შტელმახერსი | უკანა ხაზი | 190 | 1974 | ულქერი, თურქეთი |
| რაიმონდს მიგლინიეკსი | უკანა ხაზი | 188 | 1970 | ცსკა, რუსეთი |
| ედმუნდს ვალეიკო | უკანა ხაზი | 191 | 1972 | რაკვერე |
| აიგარს ვიტოლსი | უკანა ხაზი | 190 | 1976 | ვენტსპილსი |
| კრისტაპს ვალტერსი | უკანა ხაზი | 185 | 1981 | ანტბირლიკი, თურქეთი |
| კასპარს კამბალა | ფორვარდი | 206 | 1978 | ეფესი, თურქეთი |
| აინარს ბაგატსკისი | ფორვარდი | 198 | 1967 | ვენტსპილსი |
| უვის ჰელმანისი | ფორვარდი | 199 | 1972 | ბაიერი, გერმანია |
| მარის ლაკსა | ფორვარდი | 204 | 1981 | პროვიდენსი, აშშ |
| არნის ვეკვაგარსი | ფორვარდი | 200 | 1974 | ლმტ რიგა |
| კასპარს კიპრუსი | ცენტრი | 210 | 1982 | ტრიესტი, იტალია |
| რაიტის გრაფსი | ცენტრი | 208 | 1980 | ვალპარაისო, აშშ |

მწვრთნელი: არმანდს კრაულინში

### სლოვენია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბენო უდრიჰი | უკანა ხაზი | 194 | 1982 | ოლიმპია |
| არიელ მაკდონალდი | უკანა ხაზი | 187 | 1972 | მაკაბი თელ ავივი, ისრაელი |
| სანი ბეჩიროვიჩი | უკანა აზი | 195 | 1981 | კინდერი, იტალია |
| იაკა ლაკოვიჩი | უკანა ხაზი | 182 | 1978 | სლოვანი |
| ბორის გორენცი | უკანა ხაზი | 195 | 1973 | სიენა, იტალია |
| მარკო მილიჩი | ფორვარდი | 198 | 1977 | ფორტიტუდო, იტალია |
| მატიაჟ სმოდიში | ფორვარდი | 205 | 1979 | კინდერი, იტალია |
| მარკო ტუშეკი | ფორვარდი | 203 | 1975 | სკავოლინი, იტალია |
| ივიცა იურკოვიჩი | ფორვარდი | 206 | 1973 | ტელეკომი, თურქეთი |
| გორან იაგოდნიკი | ფორვარდი | 202 | 1974 | ტედკოლეჟი, თურქეთი |
| რადოსლავ ნესტეროვიჩი | ცენტრი | 212 | 1976 | მინესოტა ტიმბერვულვზი, აშშ |
| მარიან კრალევიჩი | ცენტრი | 212 | 1970 | რეჯანა, იტალია |

მწვრთნელი: ბორის ზრინსკი

### თურქეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჰარუნ ერდენაი | უკანა ხაზი | 190 | 1968 | ულქერი |
| ჰალუკ ილდირიმი | უკანა ხაზი | 200 | 1972 | ულქერი |
| ომერ ონანი | უკანა ხაზი | 194 | 1978 | ეფესი |
| ქერემ თუნჩერი | უკანა ხაზი | 190 | 1979 | ეფესი |
| ორჰუნ ენე | უკანა ხაზი | 188 | 1967 | უგუნდო |
| იბრაჰიმ ქუთლუაი | ფორვარდი | 198 | 1974 | პანათინაიკოსი, საბერძნეთი |
| ჰიდაიეთ თურქოღლუ | ფორვარდი | 206 | 1979 | საკრამენტო კინგზი, აშშ |
| მირსად თურქჯანი | ფორვარდი | 206 | 1976 | ცსკა, რუსეთი |
| მეჰმეთ ოქური | ფორვარდი | 210 | 1979 | ეფესი |
| ქაია პეკერი | ცენტრი | 207 | 1980 | ეფესი |
| ჰუსეინ ბეშოქი | ცენტრი | 212 | 1975 | მაკაბი თელ ავივი, ისრაელი |
| ასიმ ფარსი | ცენტრი | 213 | 1976 | ულქერი |

მწვრთნელი: აიდინ ორსი

### მეოთხედფინალში გასასვლელი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 სექტემბერი | | | |
| მატჩი №25 | ანკარა | 21:00 | A2-B3 |
| მატჩი №26 | ანკარა | 23:15 | B2-A3 |
| მატჩი №27 | ანთალია | 21:00 | C2-D3 |
| მატჩი №28 | ანთალია | 23:15 | D2-C3 |

### მეოთხედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 სექტემბერი | | | |
| მატჩი №29 | სტამბოლი | 21:00 | A1-მატჩი №27 მოგებული |
| მატჩი №30 | სტამბოლი | 23:15 | B1-მატჩი №28 მოგებული |
| 6 სექტემბერი | | | |
| მატჩი №31 | სტამბოლი | 21:00 | C1-მატჩი №25 მოგებული |
| მატჩი №32 | სტამბოლი | 23:15 | D1-მატჩი №26 მოგებული |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის ჩემპიონატი

## C ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| **31 აგვისტო** | | |
| ანთალია | 18:45 | ესტონეთი — გერმანია |
| ანთალია | 21:00 | ხორვატია — იუგოსლავია |
| **1 სექტემბერი** | | |
| ანთალია | 16:30 | იუგოსლავია — ესტონეთი |
| ანთალია | 18:45 | გერმანია — ხორვატია |
| **2 სექტემბერი** | | |
| ანთალია | 16:30 | ესტონეთი — ხორვატია |
| ანთალია | 21:00 | იუგოსლავია — გერმანია |

## D ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| **31 აგვისტო** | | |
| ანთალია | 16:30 | ბოსნია — რუსეთი |
| ანთალია | 23:15 | საბერძნეთი — იტალია |
| **1 სექტემბერი** | | |
| ანთალია | 21:00 | იტალია — ბოსნია |
| ანთალია | 23:15 | რუსეთი — საბერძნეთი |
| **2 სექტემბერი** | | |
| ანთალია | 18:45 | იტალია — რუსეთი |
| ანთალია | 23:15 | ბოსნია — საბერძნეთი |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მარკო პეშიჩი | უკანა ხაზი | 198 | 1976 | ალბა |
| მითჰათ დემირელი | უკანა ხაზი | 182 | 1978 | ალბა |
| სტეფანო გარისი | უკანა ხაზი | 198 | 1979 | ალბა |
| დრაჟან ტომიჩი | უკანა ხაზი | 197 | 1974 | კიოლნი |
| რობერტ გარეტი | უკანა ხაზი | 192 | 1977 | ვურცბურგი |
| დირკ ნოვიცკი | ფორვარდი | 211 | 1978 | დალას მავერიქსი, აშშ |
| ადემოლა ოკულაია | ფორვარდი | 203 | 1975 | ბარსელონა, ესპანეთი |
| სტეფან არიგბაბუ | ფორვარდი | 206 | 1972 | დაფნი, საბერძნეთი |
| მარვინ უილუგბი | ფორვარდი | 202 | 1978 | ვურცბურგი |
| სტიპო პაპიჩი | ფორვარდი | 205 | 1978 | ალბა |
| შონ ბრედლი | ცენტრი | 228 | 1972 | დალას მავერიქსი, აშშ |
| პატრიკ ფემერლინგი | ცენტრი | 213 | 1975 | ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი |

მწვრთნელი: ჰენრიკ დიტმანი

### ესტონეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რაუნო პეჰკა | უკანა ხაზი | 188 | 1968 | კალევი |
| ტანელ ტეინი | უკანა ხაზი | 193 | 1978 | დელტა |
| ინდრეკ ვარბლანე | უკანა ხაზი | 191 | 1968 | ნიბიტი |
| ტომას ლიივაკი | უკანა ხაზი | 186 | 1970 | ტარტუ |
| ვალმო კრიისა | უკანა ხაზი | 192 | 1974 | სედერტელე, შვედეთი |
| მარტინ მიუურსეპი | ფორვარდი | 206 | 1974 | აეკ, საბერძნეთი |
| ანდრე პარნი | ფორვარდი | 200 | 1977 | პლანია, შვედეთი |
| ინდრეკ რუმა | ფორვარდი | 198 | 1969 | კალევი |
| ტარმო კიკერპილი | ფორვარდი | 196 | 1977 | ტარტუ |
| ტოომას კანდიმაა | ფორვარდი | 194 | 1975 | ტარტუ |
| მარგუს მეტსტაკი | ცენტრი | 204 | 1961 | ლე კოკი |
| მარეკ ნოორმეტსი | ცენტრი | 204 | 1971 | ნიბიტი |

მწვრთნელი: ულარ კერდე

### ხორვატია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დამირ მულაომეროვიჩი | უკანა ხაზი | 195 | 1974 | პანათინაიკოსი, საბერძნეთი |
| გორდან გირიჩეკი | უკანა ხაზი | 197 | 1977 | ცსკა, რუსეთი |
| იოსიპ სესარი | უკანა ხაზი | 195 | 1978 | ციბონა |
| ვლადიმირ კრსტიჩი | უკანა ხაზი | 184 | 1972 | პო ორტეზი, საფრანგეთი |
| იოსიპ ვრანკოვიჩი | უკანა ხაზი | 198 | 1968 | სოპოტი, პოლონეთი |
| ველკო მრშიჩი | ფორვარდი | 203 | 1971 | უნიკახა, ესპანეთი |
| ნიკოლა პრკაჩინი | ფორვარდი | 208 | 1975 | ციბონა |
| მატე მამიჩი | ფორვარდი | 202 | 1975 | ციბონა |
| ჟან ტაბაკი | ცენტრი | 213 | 1970 | რეალი, ესპანეთი |
| ემილიო კოვაჩიჩი | ცენტრი | 208 | 1968 | ფორტიტუდო, იტალია |
| წიკოლა ვუიჩიჩი | ცენტრი | 211 | 1979 | მაკაბი თელ ავივი, ისრაელი |
| მატე სკელინი | ცენტრი | 212 | 1974 | ციბონა |

მწვრთნელი: ალექსანდრ პეტროვიჩი

### იუგოსლავია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვესელინ პეტროვიჩი | უკანა ხაზი | 193 | 1977 | პარტიზანი |
| საშა ობრადოვიჩი | უკანა ხაზი | 197 | 1969 | კიოლნი, გერმანია |
| ვლადო შჩეპანოვიჩი | უკანა ხაზი | 196 | 1975 | პარტიზანი |
| მარკო იარიჩი | უკანა ხაზი | 197 | 1978 | კინდერი, იტალია |
| იგორ რაკოჩევიჩი | უკანა ხაზი | 189 | 1978 | ბუდუჩნოსტი |
| დეიან ბოდიროგა | ფორვარდი | 204 | 1973 | პანათინაიკოსი, საბერძნეთი |
| პრედრაგ სტოიაკოვიჩი | ფორვარდი | 206 | 1976 | საკრამენტო კინგზი, აშშ |
| მილან გუროვიჩი | ფორვარდი | 207 | 1976 | უნიკახა, ესპანეთი |
| დეიან მილოევიჩი | ფორვარდი | 201 | 1977 | ბუდუჩნოსტი |
| პრედრაკ დრობნიაკი | ცენტრი | 211 | 1975 | სიეტლ სუპერსონიქსი, აშშ |
| დრაგან ტარლაჩი | ცენტრი | 210 | 1973 | რეალი, ესპანეთი |
| დეიან ტომაშევიჩი | ცენტრი | 208 | 1973 | ტაუ, ესპანეთი |

მწვრთნელი: სვეტისლავ პეშიჩი

### რუსეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ანტონ იუდინი | უკანა ხაზი | 193 | 1972 | უნიქსი |
| იგორ კუდელინი | უკანა ხაზი | 196 | 1972 | ცსკა |
| სერგეი ჩიკალკინი | უკანა ხაზი | 196 | 1976 | ბენეტონი, იტალია |
| ევგენი პაშუტინი | უკანა ხაზი | 190 | 1969 | უნიქსი |
| ზახარ პაშუტინი | უკანა ხაზი | 196 | 1974 | ცსკა |
| ალექსანდრ მილოსერდოვი | უკანა ხაზი | 193 | 1980 | ფორტიტუდო, იტალია |
| პიოტრ სამოილენკო | უკანა ხაზი | 195 | 1977 | უნიქსი |
| სერგეი პანოვი | ფორვარდი | 201 | 1970 | ურალ გრეიტი |
| ნიკიტა მორგუნოვი | ფორვარდი | 210 | 1975 | ცსკა |
| ანდრეი კირილენკო | ფორვარდი | 206 | 1981 | იუტა ჯაზი, აშშ |
| ალექსანდრ ბაშმინოვი | ცენტრი | 209 | 1978 | ურალ გრეიტი |
| ალექსეი სავრასენკო | ცენტრი | 212 | 1979 | ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი |

მწვრთნელი: სტანისლავ ერიომინი

### საბერძნეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგოს სიგალასი | უკანა ხაზი | 200 | 1970 | პაოკ |
| თეოდოროს პაპალუკასი | უკანა ხაზი | 200 | 1977 | ოლიმპიაკოსი |
| ნიკოს ხაძივრეტასი | უკანა ხაზი | 197 | 1977 | ირაკლისი |
| გიორგოს კალაიძისი | უკანა ხაზი | 195 | 1976 | პანათინაიკოსი |
| ფრაგისკოს ალვერტისი | ფორვარდი | 207 | 1974 | პანათინაიკოსი |
| მიხალის კაკიუზისი | ფორვარდი | 206 | 1976 | აეკ |
| დიმიტრის პაპანიკოლაუ | ფორვარდი | 201 | 1977 | ოლიმპიაკოსი |
| ანტონის ფოცისი | ფორვარდი | 208 | 1981 | პანათინაიკოსი |
| დიმოს დიკუდისი | ფორვარდი | 206 | 1977 | აეკ |
| ეფტიმიოს რენციასი | ფორვარდი | 210 | 1976 | ბარსელონა, ესპანეთი |
| ლაზაროს პაპადოპულოსი | ცენტრი | 210 | 1980 | პანათინაიკოსი |
| იანის იანულისი | ცენტრი | 205 | 1976 | პანათინაიკოსი |

მწვრთნელი: კოსტას პეტროპულოსი

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჯანლუკა ბაზილე | უკანა ხაზი | 190 | 1975 | ფორტიტუდო |
| ანდრეა მენეგინი | უკანა ხაზი | 200 | 1974 | ფორტიტუდო |
| ანდრეა პეჩილე | უკანა ხაზი | 185 | 1980 | სკავოლინი |
| მიკელე მიანი | უკანა ხაზი | 196 | 1973 | სნაიდერო |
| გრეგორ ფუჩკა | ფორვარდი | 215 | 1971 | ფორტიტუდო |
| ალესანდრო დე პოლი | ფორვარდი | 204 | 1972 | ფორტიტუდო |
| ალექს რიგეტი | ფორვარდი | 198 | 1977 | აეროპორტი |
| ნიკოლა რადულოვიჩი | ფორვარდი | 207 | 1973 | ვილერბანი, საფრანგეთი |
| რობერტო კიაჩიგი | ფორვარდი | 208 | 1974 | სიენა |
| დენის მარკონატო | ცენტრი | 210 | 1975 | ბენეტონი |
| ჯაკომო გალანდა | ცენტრი | 210 | 1975 | ფორტიტუდო |
| ანდრეა კამატა | ცენტრი | 213 | 1973 | ვერონა |

მწვრთნელი: ბოგდან ტანიევიჩი

### ბოსნია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ნენად მარკოვიჩი | უკანა ხაზი | 196 | 1968 | ესტუდიანტესი, ესპანეთი |
| გორდან ფირიჩი | უკანა ხაზი | 196 | 1970 | არისი, საბერძნეთი |
| გორან ტერჟიჩი | უკანა ხაზი | 186 | 1978 | სლობოდა დიტა |
| დამირ მრშიჩი | უკანა ხაზი | 192 | 1970 | ტროი, თურქეთი |
| სინიშა კოვაჩევიჩი | უკანა ხაზი | 200 | 1978 | იგოკეა |
| სამირ ლერიჩი | ფორვარდი | 205 | 1973 | სლობოდა დიტა |
| იასმინ ჰუკიჩი | ფორვარდი | 202 | 1979 | სლობოდა დიტა |
| რამიზ სულიანოვიჩი | ფორვარდი | 202 | 1979 | სლობოდა დიტა |
| ჰარის მუეძინოვიჩი | ფორვარდი | 207 | 1974 | ფენერბაჰჩე, თურქეთი |
| ბარიშ კრასიჩი | ფორვარდი | 203 | 1978 | ბრონტიი |
| ივან ოპაჩაკი | ცენტრი | 203 | 1980 | ზენიცა |
| ელვირ ოვჩინა | ცენტრი | 212 | 1976 | პივოვარნა, სლოვენია |

მწვრთნელი: საბიტ ჰაჯიჩი

### ნახევარფინალი

8 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მატჩი №35 | სტამბოლი | 21:00 | მატჩი №29 მოგებული-მატჩი №30 მოგებული |
| მატჩი №36 | სტამბოლი | 23:15 | მატჩი №31 მოგებული-მატჩი №32 მოგებული |

### ფინალი

9 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მატჩი №40 | სტამბოლი | 23:15 | მატჩი №35 მოგებული-მატჩი №36 მოგებული |

# სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VI ტური

**31 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 001 | ოსნაბრიუკი-აუე | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**1 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 002 | ქემნიცი-მუნსტერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 17.00 | 003 | ლიუბეკი-ბრაუნშვაიგი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 17.00 | 004 | ფერლი-ლევერკუზენი (მ.) | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 17.00 | 005 | დრეზდენი-ვერდერი (მ.) | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 17.00 | 006 | ურდინგენი-კილი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 007 | ურდინგენი-კილი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

**2 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 008 | მაგდებურგი-ვატენშაიდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 009 | ესენი-დიუსელდორფი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VI ტური

**1 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 011 | რეგენსბურგი-ელვერსბერგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 18.00 | 012 | კიკერსი-მანჰაიმი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.00 | 013 | დარმშტადი-ვეჰენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 014 | ჰოფენჰაიმი-აალენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**2 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | კაიზერსლ.(მ.)-ბურგჰაუზენი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 20.00 | 016 | ზიგენი-ფულდა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 017 | ოფენბახი-ტრირი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. V ტური

**1 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 019 | გრიმსბი-ბარნსლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**2 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 020 | ბრედფორდი-ბარნლი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

### ინგლისი. II დივიზიონი. V ტური

**31 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 023 | ნორთჰემპტონი-ბრაიტონი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**1 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 024 | კემბრიჯი-ბორნმუთი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 025 | ჩესტერფილდი-პიტერბრო | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 026 | პორტ ვეილი-რედინგი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 027 | სუინდონი-კოლჩესტერი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 028 | ტრანმერი-ოლდემი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**2 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 029 | ჰადერსფილდი-უიკომბი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. V ტური

**1 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 031 | კარლაილი-როჩდეილი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 17.00 | 032 | საუთენდი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 033 | როვერსი-შრიუსბერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 034 | ჩელტენემი-ტორკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 035 | ექსეტერი-ლუტონი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 19.00 | 036 | კიდერმინსტერი-მენსფილდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 037 | ლინკოლნი-დარლინგტონი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 038 | მაკლსფილდი-სკანთორპი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 039 | ოქსფორდი-რაშდენი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 040 | იორკი-ჰალიფაქსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. II ტური

**1 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 083 | ფეროლი-მურსია | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 21.30 | 079 | ეიბარი-ატლეტიკო | 2,9 | 3,0 | 2,3 |

**2 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 080 | ესტრემადურა-სერესი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 081 | ბურგოსი-ხიმნასტიკი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 22.00 | 082 | ხაენი-ეხიდო | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 15.00 | 084 | ლეგანესი-ელჩე | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 085 | ლევანტე-კორდობა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 22.00 | 086 | სალამანკა-ალბასეტე | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 24.00 | 087 | უელვა-ნუმანსია | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 21.00 | 088 | სპორტინგი-ბადახოსი | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 23.00 | 089 | რასინგი-ოვიედო | 1,8 | 3,0 | 4,2 |

### პორტუგალია. I ლიგა. გადადებული მატჩი

**2 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 090 | სანტა კლარა-ალვერკა | 2,1 | 2,9 | 3,4 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. III ტური

**31 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 091 | კამბური-როზენდალი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.00 | 092 | იგლსი-ემენი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.00 | 093 | ჰერაკლესი-ექსელსიორი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.00 | 094 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.00 | 095 | ტელსტარი-ჰელმონდი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.00 | 096 | ვენლო-ოსი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 097 | დორდრეხტი-ვეენდამი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

**2 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 098 | ვოლენდამი-ზვოლე | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 17.30 | 099 | ჰაარლემი-დენ ჰააგი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. XI ტური.

**2 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 119 | ვილი-კარუჟი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.15 | 120 | კონკორდია-კრიენსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.15 | 121 | დელემონი-ვინტერთური | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.15 | 122 | ლოკარნო-თუნი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.15 | 123 | ივერდონი-ბელინცონა | 1,85 | 3,2 | 3,6 |

### შესარჩევი მატჩები

**1 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 506 | ირლანდია-ჰოლანდია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 507 | ისლანდია-ჩეხეთი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 19.00 | 508 | მოლდოვა-აზერბაიჯანი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 509 | უელსი-სომხეთი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 510 | შოტლანდია-ხორვატია | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 511 | აშშ-ჰონდურასი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 20.45 | 512 | პოლონეთი-ნორვეგია | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 513 | ფარერები-ლუქსემბურგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 514 | ბელარუსი-უკრაინა | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 21.00 | 515 | საქართველო-უნგრეთი | ანგარიში – 5,0 | | |
| 22.00 | 516 | ალბანეთი-ფინეთი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 22.15 | 517 | დანია-ჩრდ. ირლანდია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 518 | დანია-ჩრდ.ირლანდია 0:1 | 1,75 | 3,0 | 3,2 |
| 22.30 | 519 | გერმანია-ინგლისი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.45 | 520 | სლოვაკეთი-თურქეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 521 | მალტა-ბულგარეთი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 23.00 | 522 | მაკედონია-შვედეთი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 23.15 | 523 | შვეიცარია-იუგოსლავია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.15 | 524 | სლოვენია-რუსეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.15 | 525 | ბოსნია-ისრაელი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.45 | 526 | ლიტვა-იტალია | 9,0 | 5,0 | 1,25 |
| 01.00 | 527 | ანდორა-პორტუგალია | 16,0 | 8,0 | 1,03 |
| 01.00 | 528 | ესპანეთი-ავსტრია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 529 | ესპანეთი-ავსტრია 0:1 | 1,75 | 3,0 | 3,2 |
| 01.00 | 530 | ტრინიდადი-კოსტა რიკა | 3,6 | 3,1 | 1,9 |

**2 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 531 | იამაიკა-მექსიკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ევროპის ახალგაზრდული (21 წლამდე) ჩემპიონატი

**31 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 551 | მოლდოვა-ახერბაიჯანი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 552 | ლიტვა-იტალია | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| 19.30 | 553 | პოლონეთი-ნორვეგია | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 20.00 | 554 | სლოვაკეთი-თურქეთი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.00 | 555 | ბელარუსი-უკრაინა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 20.00 | 556 | საქართველო-უნგრეთი | ანგარიში – 5,0 | | |
| 20.30 | 557 | ალბანეთი-ფინეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 558 | მალტა-ბულგარეთი | 7,5 | 4,0 | 1,35 |
| 22.00 | 559 | ირლანდია-ჰოლანდია | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 22.00 | 560 | დანია-ჩრდ. ირლანდია | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 22.00 | 561 | ისლანდია-ჩეხეთი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 22.30 | 562 | შვეიცარია-იუგოსლავია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 563 | გერმანია-ინგლისი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.30 | 564 | უელსი-სომხეთი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.30 | 565 | შოტლანდია-ხორვატია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 01.00 | 566 | ესპანეთი-ავსტრია | 1,25 | 5,0 | 9,0 |

**1 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 567 | სლოვენია-რუსეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 568 | მაკედონია-შვედეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 |
| 21.00 | 569 | ბოსნია-ისრაელი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

### კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი (თურქეთი)

**31 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.45 | 601 | ისრაელი-საფრანგეთი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 16.30 | 602 | უკრაინა-ლიტვა | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 23.15 | 603 | სლოვენია-ესპანეთი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 21.00 | 604 | ლატვია-თურქეთი | 6,0 | 12,0 | 1,07 |
| 21.00 | 605 | ხორვატია-იუგოსლავია | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 18.45 | 606 | ესტონეთი-გერმანია | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 23.15 | 607 | საბერძნეთი-იტალია | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 16.30 | 608 | ბოსნია-რუსეთი | 6,0 | 12,0 | 1,07 |

**ჩოგბურთის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## შპს „კროკოს" ადმინისტრაცია

# გაფრთხილებთ!

ფოთში, მისამართზე რკალი 5, მუშაობს თვითმარქვია ტოტალიზატორი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შპს „კროკოსთან". შესაბამისად, შპს „კროკო" აღნიშნული თვითმარქვია ტოტალიზატორის მუშაობაზე არანაირ პასუხისმგებლობას არ კისრულობს და შესაძლო პრეტენზიებს არ განიხილავს.

**ფოთში დღესდღეობით „კროკოს" ბიურო არ არსებობს.**

არალეგალური საქმიანობა ისჯება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. შპს „კროკოს" ადმინისტრაცია კომპეტენტურ ორგანოებს შესაბამისი რეაგირებისთვის მიმართავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

**!**

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ფიროსმანის ქუჩა № 7ა | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და
თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

US OPEN ამერიკის ღია პირველობა 2001 US OPEN

# ახალმა ფაუმ შვედი განთესილი ააფეთქა

## გადაფურთხება ათას დოლარად

**ნებისმიერი** ასპარეზობის მონაწილეს თავში მხოლოდ ერთი რამ უტრიალებს — გამარჯვება! გამონაკლისნი არც ამერიკის ღია პირველობის მონაწილენი არიან, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემპიონის გვირგვინს მხოლოდ ერთი დაიდგამს. ვინ იქნება სეზონის ბოლო დიდი სლემის გამარჯვებული, ამის გამოცნობა ძნელია, რადგან ჯერჯერობით ყველა ჩოგბურთელი, ვინც ტიტულის მოპოვების კანდიდატად მოიაზრება, წინ რიხინ-რიხინით მიიწევს. წინ ერთი ნაბიჯი გადადგეს ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა და ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა. მათ პირველი წრის ბარიერი გადალახეს. გუგას მეტოქე ვეტერანი ჩეხი დანიელ ვაცეკი გახლდათ. ჩეხმა, რომელიც ზურგთან დაკავშირებული პრობლემების გამო მთელი წლის განმავლობაში აშვიათად ჩნდებოდა კორტზე (ამერიკის ღია პირველობა მისი მესამე ტურნირია ამ სეზონში), საკმაო წინააღმდეგობა გაუწია სამხრეთამერიკელს. კუერტენიც ორმაგი შემართებით იბრძოდა ვაცეკის წინააღმდეგ. შარშანდელი წარუმატებლობის თავიდან ასაცილებლად გუგამ ყველაფერი გაიღო, მაშინ ხომ განთესილთაგან ერთადერთმა იწვნია პირველივე წრეში მარცხი. ახლა კი მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა, თუმცა ამისთვის ოთხი სეტი, 2 საათი და 20 წუთი დასჭირდა — 6:4, 6:4, 3:6, 7:5.

მართალია, ჩემპიონობამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ ფაქტია, რომ როლან გაროსის ტიტულის წლეულს მესამედ მომპოვებელი კუერტენი ახლანდელ ტურნირშიც პირველობას შეეცდება. მით უმეტეს, რომ ამის საკმაო სტიმულიც აქვს. ბრაზილიელს ანდრე აგასის 1999 წლის მიღწევის გამეორება სურს. მაშინ თავხოტორა ამერიკელმა ორივე ტიტული დაისაკუთრა. ესეც რომ არა, კუერტენისთვის ამერიკის ღია ჩემპიონატი რიგით მეხუთეა. წინა ოთხი შეჯიბრებიდან მისი საუკეთესო შედეგი 1999 წლის მეოთხედფინალში გასვლაა. პირველი წრის მატჩისას იგი წარსულში მიღებული მწარე გამოცდილების გამო ნერვიულობდა.

„შარშან პირველი წრიდან გამოვარდნის გამო იყო, რომ ახლა ცოტა მეშინოდა. თანაც ეს განცდა უფრო გამიგრძელდა, რადგან მეგონა, რომ წინა დღით უნდა მეთამაშა. შეხვედრა კი დღეს შედგა. ისე, თუ თამაში გინდა, მოცდაც უნდა შეგეძლოს. ეს სეზონის ბოლო დიდი სლემის გათამაშებაა და ყველასთვის მნიშვნელოვანია. აბა, ვის უნდა, ბოლო „ოუფენზე“ უხეიროდ გაისარჯოს?! ეს ჩემთვის გამოწვევასავითაა, აქ მეოთხედფინალს იქით არ გავსულვარ და ვფიქრობ, ახლა საკმაოდ კარგად ვთამაშობ იმისათვის, რომ ეს ნაკლი გამოვასწორო. ეგებ ახლა სწორედ ის დროა, როდესაც უკეთ უნდა გავისარჯო“ — საკუთარ თავს ამხნევებს კუერტენი. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი მსოფლიოს პირველი ჩოგანია და ტურნირის პირველი სამხრეთამერიკელი ჩოგბურთელია, რომელიც პირველ ნომრადაა განთესილი, ფავორიტთა შორის იშვიათად ასახელებენ.

კუერტენისა არ იყოს, სეზონის მეორე დიდი სლემის ტიტულისთვის იბრძვის ივანიშევიჩიც. წლეულს უიმბლდონის სასწაულებრივად მომგებმა ხორვატმა, როგორც იქნა, თავი დააღწია ნიუ იორკის კორტებიდან პირველივე წრიდან გამოვარდნას. ამაში მას ლუი არმსტრონგის სტადიონზე თავშეყრილმა გულშემატკივრებმაც შეუწყვეს ხელი. „აქამდე პირველივე წრეში ამდენი მაყურებელი არასდროს მყოლია. დიდი პატივია, როდესაც ხალხი გაფასებს. ეს საოცარი გრძნობაა“ — ხორვატი ჩოგბურთელი გულშემატკივრებს ემადლიერება.

ივანიშევიჩს, რომელიც ბრაზილიელის მსგავსად ოთხჯერ უდროოდ გამოეთიშა პირველობას, ახლა მშვენიერი შანსი აქვს, გახდეს მეხუთე ჩოგბურთელი, რომელსაც ერთ სეზონში უიმბლდონის შემდეგ აშშ-ს ღია ჩემპიონატზეც უმარჯვნია. ისე კი ბოლოს ასეთი რამ პიტ სამპრასმა შეძლო 1995 წელს. მასპინძელ ჰუგო არმანდოსთან პაექრობამდე კი ხორვატს თურმე არ გაეთვითცნობიერებინა, რამდენად მწირი იყო „ოუფენზე“ მის მიერ პირველი წრის გადალახვის მაჩვენებელი. „სიმართლე გითხრათ, იქამდე არ მიმიქცევია ყურადღება ამისათვის, ვიდრე ოქმში არ ამოვიკითხე, რომ პირველი წრიდან ოთხჯერ გავვარდნილვარ. მახსოვს ერთხელ ასეთი რამ აქ მაშინ დამემართა, როდესაც მეორე ნომრად ვიყავი განთესილი — განაცხადა ივანიშევიჩმა და ერთი-ორი სიტყვა მატჩზეც თქვა — როდესაც აქ დიდი სლემის ტიტულის მოგების შემდეგ მოდიხარ და ისეთ მეტოქეს ეთამაშები, რომლის შესახებაც არაფერი იცი, მოგება იოლი არაა. თანაც მას დასაკარგიც არაფერი ჰქონდა. თავდაპირველად ამის გამო ავნერვიულდი კიდეც.“ მოგებით კი, რა თქმა უნდა, ივანიშევიჩმა მოიგო — 6:4, 6:4, 6:3.

წინა დღის მსგავსად, არც მესამე დღეს ჩაუვლია ისე, რომ ერთი განთესილი არ მოესაკლისებინა. მეცხრამეტედ განთესილი შვედი ტომას ენკვისტი ბევრს ეცადა, მაგრამ ბადეში კვალიფიკაციით შესულ გერმანელ ბიორნ ფაუს ვერაფერი მოუხერხა. სკანდინაველი არიელთან ოთხ სეტში დამარცხდა 6:3, 4:6, 6:3, 6:4. მეორე წრის მატჩებიდან გამოსარჩევია პატრიკ რაფტერის ბელგიელ კრისტოფ როშიუსთან ორთაბრძოლა.

საწყის 50 წუთში ავსტრალიელს, შეიძლება ითქვას, ბელგიელთან პაექრობა გაუჭირდა, რადგან ამ უკანასკნელმა სეტი იერიშებით დაიწყო და რაფტერი ცოტა დააბნია კიდეც.

„დასაწყისში ღირსეულად მიბრუნებდა ბურთს. ამან ცოტა შემაშინა კიდეც. იგი უდავოდ ნიჭიერი ჩოგბურთელია. არ მოველოდი, თუ ასეთ წინააღმდეგობას გამიწევდა“ — მატჩის პერიპეტიებს იხსენებს ავსტრალიელი, რომელმაც საბოლოოდ ეს შეხვედრაც თავის სასარგებლოდ შეაბრუნა.

1997 და 1998 წლების ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულს მესამე ტიტულისკენ მიმავალ გზაზე როშიუს დასამარცხებლად საათი და 40 წუთი დასჭირდა. შეხვედრა კი სამ სეტში დამთავრდა 7:5, 6:2, 6:1.

ვაჟებისგან განსხვავებით, ქალ ჩოგბურთელთა შორის არც ერთი განთესილი არ გავარდნილა. მესამე წრეში ისინი გავიდნენ, ვინც მოსალოდნელი იყო.

ამერიკის ღია ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებული მონიკა სელეში, მიუხედავად იმისა, რომ რუსი მეტოქე ევგენია კულიკოვსკაია იოლად დაამარცხა 6:1, 6:4 და მესამე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა, საკუთარი თავით მაინც უკმაყოფილო ჩანდა.

„დღევანდელი ასპარეზობის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. ისე ვერ გავისარჯე, როგორც მინდოდა“ — თვითკრიტიკული გახლდათ სელეში.

არადა, ამერიკელისა და რუსის ჭიდილზე ცენტრალურ კორტზე მისული მაყურებლები საინტერესო დამთხვევის მოწმენი შეიქნენ. ასეთი რამ ყოველდღიურად არ ხდება. როგორი ამბავია, როდესაც ორივე მეტოქე ცაციაა. ამიტომაც იყო, რომ სელეშმა ამ შეხვედრას „უჩვეულო“ უწოდა.

„უჩვეულო პაექრობა შედგა. ძნელი გამოსაცნობი იყო, რომელ მხარეს გააგზავნიდა ბურთს. ყოველთვის რთულია იმასთან ბრძოლა, ვის ხელწერასაც არ იცნობ“ — თქვა ამერიკელმა.

სელეშს, რომელიც ცხრა დიდი სლემის ტიტულის მფლობელია, მესამე წრეში კიდევ ერთ, მისთვის უცნობ მეტოქესთან, ბერძენ ელენი დანილიდუსთან ორთაბრძოლა ელოდება. ყოფილი პირველი ჩოგანის მსგავსად, მეორე წრე გადალახეს ამერიკის ღია პირველობის ექსჩემპიონებმაც. ლინდსი დევენპორტმა, რომელმაც „საოუფენო“ კარიერა 1991 წელს 15 წლისამ დაიწყო და შვიდი წლის შემდეგ ნიუ იორკი ჩემპიონმა დატოვა, ფრანგი ემილი ლუა მანამ დაამარცხა (6:0, 6:2), სანამ მისი თანამემამულე სერენა უილიამსი ჩეხ დენიზა ხლადკოვას მუსრს გაავლებდა 6:1, 6:1.

დევენპორტსაც და უილიამსაც პირველი სეტის მოსაგებად 18-18 წუთი დასჭირდათ. ისე კი მთელ მატჩს თუ პირველმა 42 წუთი მოანდომა, სერენამ ეს 44 წუთში შეძლო. მათ არც მარტინა ჰინგისი ჩამორჩა. შვეიცარიელმა რუს ლინა კრასნორუცკაიას გასაქანი არ მისცა — 6:0, 6:2.

„ოუფენზე“ პირველი ჩოგბურთელიც დააჯარიმეს. 22 წლის ჩეხ მიხალ ტაბარას ათასი დოლარით მოუწევს ჯიბის შეთხელება. მან ამერიკელ ჯასტინ გიმელსტობთან წაგებული შეხვედრის დამთავრებისთანავე მეტოქის მიმართულებით გადააფურთხა. ტაბარამ თავი იმართლა, ამერიკელის შეურაცხყოფა არც მიფიქრიაო, გიმელსტობმაც თქვა, გადაფურთხების მომენტი საერთოდ არ დამინახავსო. თუმცა, ტაბარა ფაქტზე ტელეკამერებმა გამოიჭირეს და ტურნირის ორგანიზატორებმაც ჯარიმა არ დაუგვიანეს.

**გიგა გურასაშვილი**



REUTERS ნიუ იორკიდან

ბიორნ ფაუ გამარჯვებამ გაახარა



REUTERS ნიუ იორკიდან

იოლად მოგებული მატჩის შემდეგ ლინდსი დევენპორტმა ავტოგრაფები ჩამოარიგა

### პირველი წრე

**ვაჟები**

**ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 6:2, 6:3, 6:4; **იან სიმერინკი** (ჰოლანდია) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:5), 4:6, 6:0, 6:4; **კრისტიან პლესი** (დანია) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 3:6, 6:3, 6:2, 7:5; **არნო კლემანი** (12, საფრანგეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:2, 4:6, 6:3, 6:4; **გილერმო კანასი** (27, არგენტინა) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 6:1, 6:3, 6:7 (7:9), 6:2; **ბიორნ ფაუ** (გერმანია) — ტომას ენკვისტი (19, შვედეთი) 6:3, 4:6, 6:3, 6:4; **გუსტავო კუერტენი** (1, ბრაზილია) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:4, 6:4, 3:6, 7:5; **ტომი ჰაასი** (16, გერმანია) — იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 6:2, 6:2, 7:6 (7:5); **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 6:2, 2:6, 6:2, 6:3; **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — ლევარ ჰარპერ-გრიფიტი (აშშ) 6:3, 6:3, 6:3; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 7:6 (8:6), 6:3, 7:6 (7:4); **გორან ივანიშევიჩი** (15, ხორვატია) — ჰუგო არმანდო (აშშ) 6:4, 6:4, 6:3; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) 6:4, 6:3, 4:6, 4:6, 6:2; **ფელიძს მანტილია** (ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:3, 6:3, 6:4; **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 7:6 (10:8), 6:3, 7:6, 8:6; **კარლოს მოია** (17, ესპანეთი) — მარდი ფიში (აშშ) 6:3, 7:6 (7:3), 6:3

### მეორე წრე

**ვაჟები**

**პატრიკ რაფტერი** (6, ავსტრალია) — კრისტოფ როშიუ (ბელგია) 7:5, 6:2, 6:1; **ნიკოლას ლაპენტი** (26, ეკვადორი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:4, 7:5, 6:3

**ქალები**

**ივა მაიოლი** (ხორვატია) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:4, 7:5; **მონიკა სელეში** (7, აშშ) — ევგენია კულიკოვსკაია (რუსეთი) 6:1, 6:4; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (20, ესპანეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 6:3, 6:2; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — რეიჩელ მაკქვილანი (ავსტრალია) 6:1, 7:5; **ელენა დოკიჩი** (14, იუგოსლავია) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:3, 6:3; **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) 6:0, 6:1; **მიროსლავა ვავრინეცი** (შვეიცარია) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 7:5, 4:6, 6:2; **ბარბარა შვარცი** (ავსტრია) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:1, 7:6, 7:4; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — ნადია პეტროვა (რუსეთი) 6:4, 2:6, 6:4; **სერენა უილიამსი** (10, აშშ) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:1; **ჟიუსტინ ენენი** (6, ბელგია) — პატი შნაიდერი (შვეიცარია) 6:7 (7:9), 6:1, 6:4; **მეგან შონესი** (12, აშშ) — ასა კარლსონი (შვედეთი) 7:6 (7:4), 6:3; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:0, 6:2; **ანხელეს მონტოლიო** (27, ესპანეთი) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 6:2, 6:1; **დაია ბედანოვა** (ჩეხეთი) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:1, 6:3; **მარტინა სუხა** (სლოვაკეთი) — ევა ბესი (ესპანეთი) 6:2, 6:3

# ნაციონალი გაფედერალდა. ელიტა ელიტად რჩება

## ქართული დესანტი საფრანგეთს იპყრობს

**საფრანგეთის** სარაგბო ჩემპიონატშორის პერიოდში ბევრმა ქართველმა მორაგბემ შეიცვალა კლუბი. ბევრიც პირდაპირ ეროვნული ჩემპიონატიდან ესტუმრა საფრანგეთს და იქაურ კლუბებში დასამკვიდრებლად დაიწყო ბრძოლა.

დავიწყოთ იმით, რომ თავად საფრანგეთის ჩემპიონატის სტრუქტურამ იცვალა სახე. პროფესიული ლიგების, ელიტ 1-ის და ელიტ 2-ის გუნდების რაოდენობა ექვსით შემცირდა. თუ აქამდე თითოეული ელიტარული დივიზიონი ოცდაორ კლუბს ითვლიდა, ახლა თექვსმეტს მოუწევს ასპარეზობა. გარდა ამისა, დაახლოებით სამასამდე ფრანგი მორაგბე ჩემპიონატის სტრუქტურული ცვლილების შემდეგ ფაქტობრივად დროებით უმუშევარი დარჩა. ისინი იძულებული შეიქნენ, უფრო დაბალ დივიზიონებში ეპოვათ თავიანთი ადგილი. ამით კი სამოყვარულო და ნახევრადსამოყვარულო ლიგებმა — ნაციონალ 1-მა და ნაციონალ 2-მა იხეირა. მათი დონე ამიერიდან გაცილებით ამაღლდება, და, რაც მთავარია, ლიგათა სახელწოდებაც შეიცვალა. ამიერიდან ნაციონალურ დივიზიონებს ფედერალური ეწოდებათ.



თედო ზიბზიბაძე ელიტ 1-ის „ნარბონში“ ისინჯება

ყველაფერი ამის ფონზე ლეგიონერებისთვის პროფესიულ კლუბებში მოხვედრა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ საქართველოს რაგბის კავშირი ახერხებს ქართველი მორაგბეების საფრანგეთში მივლინებას და მათთვის ნორმალური პირობების შექმნას.

ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ტრანსფერი ბორჯღალოსანთა შერკინების მარცხენა ბურჯის, მევლუდ მთიულიშვილის ელიტ 1-ის „აჟანში“ გადასვლაა. ოცდათერთმეტი წლის მორკინალი გასულ სეზონში „ორიიაკის“ ღირსებას იცავდა, თუმც ჩვენებურის აწ უკვე ყოფილი გუნდი ელიტ 2-ში ჩაქვეითდა. მევლუდის და „ორიიაკის“ გზებიც გაიყო და ქართველი მორაგბე ელიტ 1-ის „აჟანს“ გაურიგდა.

ელიტ 1-ის „ნარბონში“ ისინჯება საქართველოს ნაკრების შუამარბი თედო ზიბზიბაძე. დარჩება თუ არა იგი „ნარბონაში“, ეს გუნდის უფროსობაზე და თავად მორაგბეზეა დამოკიდებული. „ორიიაკი“ დატოვა კიდევ ერთმა ქართველმა, თამაზ ჩადუნელმაც. იგი ფედერალ 1-ის „სბუკ“-ში გადავიდა. ბადრი ხეხელაშვილმა კი ფედერალ 1-ის „ლილი“ იმავე ლიგის „ანგულემზე“ გაცვალა.

ამათ გარდა, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე დაახლოებით ორმოცამდე მორაგბემ მიაშურა საფრანგეთს. ისინი სამთვიან სტაჟირებას გაივლიან ფედერალ 1-ის და ფედერალ 2-ის სხვადასხვა გუნდში. არ არის გამორიცხული, ქართველთა და ფრანგთა სამთვიანი თანამშრომლობა შემდეგ კიდევ გაგრძელდეს და საქმე კონტრაქტის გაფორმებაზეც მიდგეს. დღეს ზოგიერთი მორაგბის ამბავს გეტყვით.

ფედერალ 1-ის „მარმანდში“ მოეწყო ბორჯღალოსანთა მე-9 ნომერი ირაკლი აბუსერიძე, რომელიც იქ მინიმუმ სამ თვეს დაჰყოფს. ყოფილი უნივერსიტეტელი გიორგი კუთარაშვილი, ბორჯღალოსანთა კაპიტნის ზურაბ მჭედლიშვილის „ალბიში“ შეეცდება დაოსტატებას. ასევე ექსუნივერსიტეტელები — ლევან კობიაშვილი და გიორგი წიკლაური — „სენ ჟირონში“ აღმოჩნდნენ. „დათვების“ პირველხაზელი დავით აშვეთია ვიქტორ დიდებულიძესა და შოთა მოდებაძეს „ნიმში“ შეუამხანაგდა, ხოლო მისი ყოფილი თანაგუნდელი გიგა გურეშიძე და სტუდენტყოფილი ანგელი ალიბეგაშვილი „კანში“ ისინჯებიან.

ფედერალ 2-ის „ლავალენეში“ ელით გამოცდა „დათვების“ ყოფილ ლიდერ კახა მაჩიტიძეს და ნაყოჩარ ნიკო ჭავჭავაძეს. ამ გუნდში კიდევ ერთი ქართველი არჩილ ქავთარაშვილის ირიცხება. იგი „ლიმოჟიდან“ შეუერთდა ახალ გუნდს. აიელი დავით დადუნაშვილი და „ლელო-ორბელის“ ჭაბუკი მორაგბე ლადო ავლოხაშვილი „მარტიგში“ მიიწვიეს. „ყოჩების“ პერსპექტიული ნახევარმცველი გიორგი კაჭარავა ფედერალ 3-ის „ფოსინში“ გაისინჯება.

**ბაჩო სვანიძე**



# პრივალოსანი

**ქვე-ველტერის** წონაში WBA-ს და WBC-ს ქამართა მფლობელი კოსტია ძიუ IBF-ის ტიტულის მფლობელ ზაბ ჯუდასთან ბრძოლის წინ ასეთ განცხადებას აკეთებს:

„უამრავი ხალხი მეკითხება, როდის შედგება ჩემი და ჯუდას ბრძოლა. ამასთან, წავიკითხე ბევრი საგაზეთო წერილი, სადაც ამ ბრძოლის ვადებზე უზუსტობები ეწერა. სიმართლე ასეთია: ჯერ არაფერია დადგენილი. წინასწარ ისე ჩანს, რომ იგი 3 ნოემბერს ლას ვეგასში გაიმართება.

როგორც კი დეტალები გახდება ცნობილი, საზოგადოებას მოვახსენებ.

ბოლო რამდენიმე კვირაა ავსტრალიაში ვმოგზაურობ და გულშემატკივრებს ვხვდები. რამდენიმე პრომოუშენშიც მივიღე მონაწილეობა, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. იმავდროულად, ოჯახის წევრებთან ერთად დასვენებაც მოვასწარი. რამდენიმე დღის წინ კი დარბაზს დავუბრუნდი და ურქალთან ბრძოლის შემდეგ პირველად ვივარჯიშე. ახლა, მომავალ ჩხუბზე ვფიქრობ და ყველა ღონეს ვხმარობ, რომ სწორად მოვემზადო. მე და ჩემმა მწვრთნელმა ზაბ ჯუდას ბევრი ბრძოლის ჩანაწერიც მოვიპოვეთ და მათ გასარჩევად ჩავჯდებით. ჩვენ ჯუდასთან ჩხუბის სტრატეგია უნდა შევარჩიოთ. მე საამისოდ სპეციალისტთა საგანგებო ჯგუფიც მყავს.

და ბოლოს, ჯუდასთან ბრძოლა ჩემი კარიერის უდიდესი მოვლენა იქნება. იმედი მაქვს, რომ ისიც უკიდურესი მონდომებით ემზადება და ორივენი მაყურებელს ჩინებულ სანახაობას შევთავაზებთ“.

**ქვე-ბუმბულის** წონას WBA-ს ვერსიით ჩემპიონად კუბელი ხოელ კასამაიორი ჰყავს, რომელიც ტიტულს 29 სექტემბერს მაიამიში, ესპანელ ლუის ნავაროსთან ბრძოლაში დაიცავს. ლუის ნავაროს მეტსახელად ტაისონს უწოდებენ.

ნავაროს კარიერაში 30 გამარჯვება და 1 მარცხი უნახავს. გამარჯვებათაგან 25 ნოკაუტით მოუპოვებია — მართლაც შთამბეჭდავი შედეგია. ეს 31 ბრძოლა ტაისონად წოდებულს 8 წელიწადში გაუმართავს, თუმცა, სტატისტიკა იმასაც მეტყველებს, რომ ესპანელი ბოლო 10 ბრძოლაში სერიოზულს არავის შეხვედრია. ამასთან, გასულ წელს მან მხოლოდ ორჯერ იჩხუბა და წლეულსაც მხოლოდ ორჯერ ავიდა რინგზე.

მოსალოდნელია, რომ ნავაროსა და კასამაიორის ბრძოლაში ესპანელი კუბელს იმთავითვე შეუტევს. ის, საზოგადოდ სწრაფი და მოხერხებული მოკრივეა, ოღონდ, ნაკლიც აქვს — მისი სახიფათო აქტიურობა, ჩვეულებრივ, ექვს რაუნდში მთავრდება ხოლმე.

**10 ნოემბერს** WBO-ს ყოფილი დაუმარცხებელი ჩემპიონი, ნასიმ ჰამედი, იგივე „პრინცი“, რინგს უბრუნდება და HBO-ს ანალიტიკოსთა აზრით, ფრიად სერიოზული ტესტიც მოუხდებოდა: იგი ესპანელ მანუელ კალვოზე ძლიერ მეტოქეს უნდა გაეჯიბროსო, ამტკიცებენ ისინი.

მოგეხსენებათ, HBO საკაბელო ტელეკომპანიაა, რომელსაც პრინცის ბრძოლათა ჩვენების ექსკლუზიური უფლება აქვს. ამ ტელეკომპანიაში კი ამბობენ, რომ კალვო ჰამედისთვის დიდს არაფერს წარმოადგენს, ამიტომაც მოწინააღმდეგედ ვინმე უფრო ძლიერია შესარჩევი, თუნდაც IBF-ის ყოფილი ჩემპიონი, სამხრეთაფრიკელი მბულელო ბოტილე.

ყველაფერი კი იმის გამოა, რომ ნასიმ ჰამედი მექსიკელმა მარკო ანტონიო ბარერამ დაამარცხა, ეს მის კარიერაში პირველი მარცხი იყო და, როგორც ჩანს, ისე იმოქმედა, რომ დღეს ყველაფერი, ფაქტობრივად, თავიდან აქვს დასაწყები.

ბარერასთან წაგების გამო 27 წლის შეფილდელის ბანაკმა გამოცდილი და ცნობილი მწვრთნელი, ემანუელ სტიუარდიც კი დაითხოვა და ახლა მისი შემცვლელის ძიებაშია. ამბობენ, რომ ჰამედის ახალი მწვრთნელის ვინაობა ორ კვირაში გაირკვევა. ალბათ, იმავ დროს გაირკვევა ბოტილესთან სავარაუდო ბრძოლის დეტალებიც.

**მოგეხსენებათ,** მსოფლიოს მძიმეწონოსანი უდავო ჩემპიონი, ჰასიმ რაჰმანი ლენოქს ლუისს უნდა შეხვდეს — ეს რემატჩია. ახლა ყველაფერი ამ ბრძოლისკენ გახლავთ მიმართული, მაგრამ „გოლდენ გლავზ პრომოუშენში“ უფრო მის შემდგომ ამბებზე ფიქრობენ და ცდილობენ დონ კინგს ამ რემატჩის გამარჯვებულისა და კორი სანდერსის ბრძოლა გამოსტყუონ.

ვინ არის კორი სანდერსი? კორი სანდერსი გახლავთ მძიმე წონაში WBA-ს ყოფილი ჩემპიონი, რომელიც რინგზე მას მერე არ გასულა, რაც შარშან სწორედ ჰასიმ რაჰმანმა დაამარცხა. ახლა, სანდერსს 3 ნოემბერს, სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ კარნავალ სიტიში, 10-რაუნდიანი ჩხუბი ელის ბრიტანელ მაიკლ სპრიტთან.

**ტუტა სიხარულიძე**




დონ კინგი (შუაში) ჯერ ჰასიმ რაჰმანის (მარცხნივ) და ლენოქს ლუისის რემატჩის მოწყობითაა დაკავებული



ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 2 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე. 17 საათი

# საქართველო — აზერბაიჯანი თბილისში

## ქართველებს მატჩამდე ყველაფერი ეცოდინებათ

**ერთი** მატჩიც და საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები დაასრულებს ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ასპარეზობას. ჯგუფის უკანასკნელ, მეექვსე შეხვედრას ჩვენები აზერბაიჯანის ნაკრებთან ჩაატარებენ. ორიოდ კვირის წინ გადაწყდა, რომ წინასწარ დაგეგმილი 1 სექტემბრის ნაცვლად, ამ მატჩს საქართველოს ნაკრები მომდევნო დღეს, 2 სექტემბერს გამართავდა, თუმც ცნობილი არ იყო სად, ბათუმში თუ თბილისში. როგორც გუშინ კალათბურთის ფედერაციაში შევიტყვეთ, აზერბაიჯანელებს ქართველები თბილისში დაუხვდებიან.

მაშ ასე, საქართველოს ნაკრები, რომელმაც ბელარუსი გუშინ დატოვა და დღეს თბილისში იქნება, სპორტის სასახლეში კვირას, 17 საათზე უმასპინძლებს აზერბაიჯანის ნაკრებს. ქართველთათვის სატურნირო თვალსაზრისით ამ მატჩზე უფრო საინტერესო, ბელარუსი — ბულგარეთი წინა დღით გაიმართება და ტომარაძის შეგირდებს თამაშის დაწყებამდე ეცოდინებათ, ეს თბილისური მატჩი მათთვის ბოლო იქნება თუ არა ევრობასკეტ 2003-ის ფინალურ ეტაპისაკენ მიმავალ გზაზე.

**ირაკლი ბერტაია**

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

SALT LAKE 2002

სპორტულმა ჟურნალისტებმა, ვისაც სურვილი გაქვთ დაესწროთ და გააშუქოთ სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშები, აკრედიტაციისათვის მიმართეთ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს 5 სექტემბრამდე.

სოლტ ლეიკ სიტიში სამგზავრო ავიაბილეთების, სასტუმროსა და კვების ხარჯები თავად ჟურნალისტზე ან მის მიმვლინებელ რედაქციაზეა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

# სან ხენხოს ახლოს

ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი მონდომებით მისდგომია ახალი, გამოსაცდელი იახტის საჭეს და სან ხენხოს ახლო წყლებში დაატარებს მას. მეფეს მხარს უმშვენებს „ნოუტორ სვანის“ იახტკლუბის თავმჯდომარე ლეონარდო ფარამაგო. ეს იახტა ვოლვოს საოკეანო რბოლისთვის უნდა გაამზადონ. რბოლა კი 23 სექტემბერს დაიწყება ინგლისურ საუთჰემპტონში.



REUTERS ბრისბენიდან



# მარიონი ზოოპარკში

ბრისბენში, სადაც კეთილი ნების თამაში მიმდინარეობს, მრავალ სტუმარსა და მონაწილეს შორის სპრინტის ვარსკვლავი მარიონ ჯონსიცაა, რომელიც თავისუფალ წუთსაც არ კარგავს, თუ ავსტრალიურ ეგზოტიკას არ ეზიარება. ბრისბენიდან ჩრდილოეთით, განთქმულ ქვინსლენდის ზოოპარკში, საიდანაც მთელს ავსტრალიას გადასცემენ პოპულარულ სერიალ „ნიანგებზე მონადირეს“, მარიონს ამ სერიალის წამყვანმა სტივ ირვინმა უმასპინძლა. გაერთნენ და აქლემებითაც ისეირნეს.

# არტამონოვამ ვერ იმატადორა

ლიდია არტამონოვა ერთადერთი რუსის გოგოა, მატადორობა რომ უსწავლია და პორტუგალიური კორიდის ოსტატი შექნილა. პორტუგალიური კორიდა უკვე ორასი წელიწადია იმით განსხვავდება ესპანურისგან, რომ მასში ხარს არ კლავენ და ამ უკანასკნელსაც, რქებზე დამცავი საცობები უკეთია. მოსკოვის ახლოს პირველი პორტუგალიური კორიდას ჩვენება იქაურმა მერმა, იური ლუჟკოვმა საპატრიარქოს, ბრიჯიტ ბარდოსა და რუს ცხოველთდამცველთა ზეწოლის შედეგად აკრძალა. ორგანიზატორებმა მილიონი დოლარი იზარალეს და ახლა სასამართლოში იჩივლებენ.



REUTERS მოსკოვიდან



REUTERS ნიუ იორკიდან

# თამაშ-თამაში

ai, ლამის ჰაერში შპაგატი მოახერხა ბელგიელმა ჟუსტინ ენენმა და სამ პარტიაში 6:7, 6:1, 6:4 დაამარცხა შვეიცარიელი პატი შნიდერი. ფლეშინგ მედოუსზე ზოგი ოფლსა ღვრის, ზოგი კი თამაშ-თამაშ იგებს ისე, როგორც დები უილიამსები. ვინუსმა და სერენამ 6:3, 6:0 მოუგეს ჯულია კაზონისა და ჯოანეტ კრიუგერის იტალიურ-სამხრეთაფრიკულ წყვილს და ახლა ისე გამოიყურებიან, თითქოს არც უთამაშიათ.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge